ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 6 ნოემბერი 1998 №202 (737) ფასი 50 თეთრი




ბრაგა — ლოკომოტივი. ზე ნუნო და ჯანაშია. ზაზას გატანაც შეეძლო...

## თასების თასი. მერვედფინალი
საპასუხო მატჩები. 5 ნოემბერი

Cup Winners' Cup

...რტიზანი (იუგოსლავია) — *ლაციო (იტალია)* 2:3 (0:0)
...0 კრსტაიჩი (18), 1:1 სალასი (43პ), 1:2 სტანკოვიჩი (67), 1:3 სალასი (76), 2:3 ილიევი (85)

...შიქთაში (თურქეთი) — *ვალერენგა (ნორვეგია)* 3:3 (0:1)
...ოქთაი (7), 2:0 ტაიფური (38), 3:0 ოქთაი (42), 3:1 ჰარალდსენი (62), 3:2 კაასა (...66), 3:3 კარეუ (73)

...*რტექსი (ხორვატია)* — ჰერენვენი (ჰოლანდია) 4:2დ.დ. (1:2)
...1 სამარჯიჩი (18), 1:1 მუმლეკი (65), 2:1, 3:1 კამბეროვიჩი (80, 99), 3:2 დე ვისერი (...14), 4:2 მუმლეკი (117)

...*ლიორკა (ესპანეთი)* — გენკი (ბელგია) 0:0 (1:1)

...ოლონი (კვიპროსი) — *პანიონიისი (საბერძნეთი)* 0:1 (2:3)
...1 საპუნცისი (18)

...*კაბი (ისრაელი)* — რიდი (ავსტრია) 4:1 (1:2)
...0 მიზრაჰი (32), 2:0 კასეი (62), 2:1 ანიჩიჩი (70), 3:1 ბენაიუნი (74), 4:1 დურო (90)

...რაგა (პორტუგალია) — *ლოკომოტივი (რუსეთი)* 1:0 (1:3)
...0 კაროგლანი (11)

...ოპენჰაგენი (დანია) — *ჩელსი (ინგლისი)* 0:1 (1:1)
...1 ლაუდრუპი (32)

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
საპასუხო მატჩი. 5 ნოემბერი

UEFA CUP

...*ეინჯერსი (შოტლანდია)* — ლევერკუზენი (გერმანია) 1:1 (2:1)
...0 იოჰანსონი (56), 1:1 კირსტენი (78)



შტურმი — რეალი 1:5. რობერტო კარლოსმა (შუაში) და მისმა თანაგუნდელებმა ავსტრიელებს სტუმრადაც აჭამეს სირცხვილი

— 18 ნოემბრისთვის ესტონელები გვეხვეწებოდნენ, ვითამაშოთო, მაგრამ ახლანდელი ფედერაციის ჩინოსანთა ხუშტურების გამო ეს მატჩი აღარ შედგება. არ გვინდა თქვენთან თამაშიო, შეუთვალეს ბალტიისპირელებს. არადა, როგორ ნაგვადგებოდა, ფეხბურთელები ხომ საქმეში უნდა ნახოო — განუცხადა გულდაწყვეტილმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა „სარბიელს" ყრილობამდელ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. იურიდიულადაც და თითქმის ფაქტობრივადაც ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობაც შეიცვალა. ამის გამოა თუ რა, გუშინ ჩვენს ესტონელ კოლეგა მარკუს ლუიკს რომ შევეხმიანეთ, დაგვიდასტურა, გადაწყვეტილია, ჩვენი ნაკრები თქვენსას 18 ნოემბერს ეთამაშოსო.

# კლუბების ნაკრები და ძუკუ
## ესტონელებმა, ჯერ სწავლაო

ესტონელთა სტუმრობა უფრო მათი ამიერკავკასიური ტურნეს წყალობაა. ბალტიისპირელები საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს ორ გუნდს აწვევენ — ესტონეთის ნაკრებს და ქვეყნის ჩემპიონ ტალინის „ფლორას". კრებული, ცხადია, ეროვნულ გუნდებს ეთამაშება, კლუბი კი ამ სამი ქვეყნის ჩემპიონებს.

ესტონეთის ნაკრები ჩვენსას 18 ნოემბერს შეხვდება. სომხეთისას — 22-ში, აზერბაიჯანისას კი 28 ნოემბერს. „ფლორა" ჯერ „ერევანს" გაეჯიბრება 22-ში, სამ დღეში თბილისის „დინამოს" ეწვევა. „ქაფაზს" კი 29 ნოემბერს ჩააკითხავს განჯაში.

ვლადიმერ გუცაევმა უკვე გადაწყვიტა, რომ ბალტიისპირელ სტუმრებს ულეგიონერებო, უკეთ კი, მეორე ნაკრებით ეთამაშოს. ასეთი გუნდი ჩვენში ოფიციალურად არ არსებობს, თორემ ლიბანსა და განჯაში დამარცხებული, რამდენიმე „გადაზრდილით" გაძლიერებული ახალგაზრდული ნაკრები სხვა რა იყო?! ისე, ღმერთმა ნუ ქნას და, ესტონელებმა კიდეც რომ დაგვამარცხონ, ეს ფიფას რეიტინგში, ალბათ, არ აისახება. ამხანაგური მატჩისთვის სტატუსის მინიჭება ორგანიზატორის, მასპინძლის საქმეა. როცა სფფ ამ მატჩის შედეგს ფიფას აცნობებს, ჩვენს გუნდს ეროვნულ ნაკრებად, ცხადია, არ მოიხსენიებს და ლიბანურ-განჯურ შეცდომას აღარ გაიმეორებს.

შესუსტებული შემადგენლობით გვეწვევიან თავად ესტონელებიც, რომლებიც კავკასიაში საახლებთა სიას დღეს დაადგენენ. ჯერჯერობით წყალგაუვალი მხოლოდ ისაა, რომ ესტონელთა კარს პრემიერლიგის „დერბის" დარაჯი მარკ პოომი ვერ დაიცავს და გუნდს მარტინ რეიმი ვერ უკაპიტნებს — მას უნივერსიტეტში სემესტრული გამოცდები ჰქონია ჩასაბარებელი.

ვლადიმერ გუცაევს ჯერ იმ 20 ფეხბურთელის ნუსხაც არ დაუდგენია, რომელთაგან 18-ს მატჩის განაცხადში შეიყვანს. საქართველოს ჩემპიონატის მე-13 ტურსაც ვნახავ და კლუბების ნაკრებს მერე შევადგენ, ზედაც ისრაელის „ზაფრირიმში" მოთამაშე გიორგი დარასელიას დავამატებო.

როგორც ჩანს, „ფლორასაც" იმაზე სუსტი მეტოქე დაუხვდება, ვიდრე ჰგონია. თბილისის „დინამოს" 26 ნოემბერს VI ტურიდან გადმოტანილი მნიშვნელოვანი მატჩი ელის ფოთის „კოლხეთთან". ტალინელებს კი, ამ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე „დინამო 3", იგივე საქართველოს 16 წლამდე ნაკრები უმასპინძლებს.

6 წლის წინ, ესტონელები რომ უნდა გვწვეოდნენ, მერე კი მატჩი ჩაიშალა, ისიც საშემოდგომოდ, ოღონდ 18 ოქტომბრისთვის იყო დაგეგმილი.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# გნწყალობდეთ ღმერთო!
## ბორჯღალოსნებმა აბჯარი აისხეს



მორაგბეთა ეროვნული ნაკრების საირლანდიო შემადგენლობის შერჩევა იოლი საქმე რომ არ იქნებოდა, ძნელი მისახვედრი არ იყო, მაგრამ ასე თუ გაძნელდებოდა, ამას იქნებ თავად ნაკრების ხელმძღვანელებიც არ ელოდნენ. გუშინ იმდენჯერ მოგვიწია სან სებასტიანში დარეკვამ, რომ ლამის იყო, შემადგენლობის დადგენის უშუალო მონაწილენი გავხდით.

საბოლოოდ ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გურამ „ბურძგლა" მოდებაძემ და გუნდის ფრანგმა კონსულტანტმა კლოდ სორელმა საირლანდიოდ ესენი შეარჩიეს:

***პირველი ხაზი:*** ლევან ცაბაძე (ნარბონი), მევლუდ მთიულიშვილი (რეველი), ირაკლი ჩიქავა (ყოჩები), აქვსენტი გიორგაძე (გუმარი), ლევან ჯაველიძე (გუმარი), გოდერძი შველიძე (ასკ);

***მეორე ხაზი:*** ვანო ნადირაძე (ლა-ტესტი), გია რაფავა (ტულუზი), ზურაბ მჭედლიშვილი (მიიო), ილო ზედგენიძე (მოგიო);

***მესამე ხაზი:*** გიორგი ლაბაძე (პენზა), კახა კობახიძე (ყოჩები), არჩილ კობახიძე (ექსპრესი), ზაზა ლეჟავა (ორილიაკი), შალვა ჯანელიძე (გუმარი), ირაკლი გიორხელიძე (ყოჩები), კახა მაჩიტიძე (ყოჩები), ბესო ტეფნაძე (ყოჩები).

***სამმეოთხედელები:*** ბესო ხამაშურიძე (აია), ვასილ კაცაძე (მოგიო), აჩიკო ქავთარაშვილი (პადოვა), მალხაზ ურჯუკაშვილი (ტულუზი), გიორგი ბუგიანიშვილი (გუმარი), ვასილ აბაშიძე (გუმარი), ემზარ ძაგნიძე (დათვები), პალიკო ჯიმშელაძე (გუმარი).

ნაკრებში ყველაზე მეტი, 6 მოთამაშე „გუმარიდანაა", მერე მოდის „ყოჩები" — 5. თითო კაცი ჰყავთ „დათვებს", „აიას", ასკ-ს და „ექსპრესს". გუნდში 11 ლეგიონერია, რომელთაგან ქავთარაშვილი იტალიაში, ლაბაძე რუსეთში, დანარჩენები კი საფრანგეთში თამაშობენ.

იხილეთ მეცხრე გვერდი

# მანასლუს კაცი მოუკლავს

გასრულდა ქართველ მთამსვლელთა მეორე ჰიმალაური ექსპედიცია, რომლის წევრიც დედამიწის თოთხმეტიდან ერთ-ერთ რვაათასიან მწვერვალ მანასლუზე (8158 მ) ცდილობდნენ ასვლას. მათ ამ ბუმბერაზ მწვერვალზე 7600 მეტრამდე დატოვეს კვალი. თუ რატომ ვერ მოხერხდა ბოლომდე ასვლა, ამის თაობაზე მოგითხრობთ ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი დავით ჩანტლაძე.

იხილეთ მეცხრე გვერდი



დავით ჩანტლაძის ფოტო

ქართული კვალი მანასლუზე

## კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური

| A ჯგუფი | | |
|---|---|---|
| ვარეზე | 95:73 | ავტოდორი |
| ჟალგირისი | 64:59 | ფენერბაჰჩე |
| პო ორტეზი | 81:71 | ტაუგრესი |

| B ჯგუფი | | |
|---|---|---|
| ეფესი | 82:74 | ტდკ |
| ციბონა | 77:80 | ცრვენა ზვეზდა |
| პანათინაიკოსი | 67:58 | მაკაბი |

| C ჯგუფი | | |
|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 55:50 | კინდერი |
| ცსკა | 86:75 | ალბა |

| D ჯგუფი | | |
|---|---|---|
| რეალი | 77:69 | პაოკ |
| ტიმსისტემი | 63:66 | ოლიმპია |

# ეს ჭირი თავს არ დამალავს

### ესტაფეტა გრძელდება

ალბათ გახსოვთ, ორიოდე თვის წინ „სარბიელში“ ვალერი გაზაევისკენ მიმართული კრიტიკა დაიბეჭდა. მაშინ ვამბობდით, რომ დაახლოებით ოცამდე ქართველმა ფეხბურთელმა გამოიარა „ალანიას“ და გაზაევის სკოლა და ყველა (ან თითქმის ყველა) მათგანი მწვრთნელთან უთანხმოებას შეეწირა. არავინ იცის, რატომ უწყრებოდა ვალერი გაზაევი ქართველ მობურთალებს, ალანიური კონფლიქტები აღარ გრძელდება, მაგრამ ახლა სულ სხვაგან, შუაგულ ევროპაში დასჩემდათ. ჩვენს ლეგიონერებს იგივე (მწვრთნელთა მიერ ათვალწუნება) და ამის გამოც დაგვიგროვდა გვარიანი სათქმელი.

ამ ბოლო დროს ნემსაძის მოთმინების ფიალაც აივსო. კარგა ხანი უცადა ამ ბიჭმა „კალიების“ მეპატრონეთა კეთილგანწყობას. მართალია, ტრავმამაც შეუშალა ხელი, უთამაშებლობამაც თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ ნემსაძემ ყველაფერი უკან მოიტოვა და დაახლოებით თვეზე მეტია, „გრასჰოპერის“ შემადგენლობაში მოხვედრას ელის.

არა და არ აღირსეს გიორგი ნემსაძეს ფეხბურთის თამაში, არა და არ მისცეს შანსი.

უარეს დღეშია გოჩა ჯამარაული, ფაქტობრივად, არ ათამაშებენ ქინქლაძეს ფოცხვერიას და ქეცბაიას, იშვიათად ამწესებენ ძირითადში ყაველაშვილს, მეორე დივიზიონში ჩაძირულ „სიტიში“ კი ახლახან გამოჩნდა მურთაზ შელია — ერთი სიტყვით, უჭირს ყველას, ყველას, ყველას.

ყველას, ვინც ეროვნული ნაკრების ბირთვს და ხერხემალს შეადგენს.

გიორგი ქინქლაძე კი ჰოლანდიური პრესის ცნობით სულაც უბედურია ჰოლანდიაში და ინგლისში დაბრუნებას ფიქრობს.

ჩვენი ასე თუ ისე სახელგანთქმული ლეგიონერებიდან მხოლოდ კობიაშვილის, კალაძის და ამჟამად ტრავმირებულების — იაშვილისა და შოთა არველაძის ბედით უნდა ვიყოთ მეტ-ნაკლებად კმაყოფილი. სათამაშო პრაქტიკის უქონელი ფეხბურთელებით კი რა შედეგის მიღწევაც შეიძლება, ჩვენი ეროვნული ნაკრების მაგალითიდანაც კარგად ჩანს.

### რას ნიშნავს აგენტი?

ფეხბურთი დაიბადა და სულ ცოტა ხა-



მურთაზ შელია

ნში საფეხბურთო აგენტიც გაჩნდა.

კი, სანამ ფეხბურთი და ფეხბურთელები ქუჩა-ქუჩა და ეზო-ეზო დარბოდნენ, პროფესია „აგენტი“ არაფრად სჭირდებოდათ, მაგრამ გადავიდა ფეხბურთი პროფესიულ რელსებზე, გახდნენ ფეხბურთელები პროფესიონალები და საფეხბურთო აგენტიც უმალ საჭირო გახდა.

ფეხბურთელმა ფეხბურთის თამაში იცის (ნორმალურმა ფეხბურთელმა), ფეხბურთელმა აუცილებლად უნდა იცოდეს გოლის გატანა, კარში დარტყმა, ვარდნა, ილეთი და სხვა მრავალი რამ, მაგრამ მას იქნებ არ შეეძლოს თავისთვის შესაფერი გუნდის მოძებნა, ღირსეული კონტრაქტის გაფორმება, თავისი იურიდიული და პიროვნული უფლებების ბოლომდე დაცვა...

ძნელია ფეხბურთელისთვის, კიდეც ითამაშოს და ყოველივე ზემოთთქმულსაც მიხედოს. სწორედ ამისათვის გაჩნდა საფეხბურთო აგენტის საჭიროება. გაჩნდა და აგენტებმაც გაამართლეს თავიანთი ფუნქცია.

მხოლოდ ქართველ ფეხბურთელთა აგენტები ვერ ტოვებენ საჭირო კაცების შთაბეჭდილებას. ყველგან, ყოველთვის უჭირთ ჩვენს ლეგიონერებს და იმიტომ.

ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთელი იყო მარადონა, ყველა მონაცემი გააჩნდა, რათა მისთვის „მარადონა რეი“ ეწოდებინათ, მაგრამ დეიგო არმანდო იმადაც იყო რეი, უძლიერესი საფეხბურთო აგენტი — ვინმე (?) კოპოლა რომ ედგა გუშაგად მის კარიერას და მარადონა ფეხბურთის მეფე რომ გახდა, ამაში ლომის წილი კოპოლამაც დაიდო.

ასევე გარკვეულწილად საფეხბურთო აგენტებმა განსაზღვრეს ზიდანის, რონალდოს, დელ პიეროს შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერა.

და როგორ გგონიათ, რონალდო რომ დღეს „ინტერის“ თანამფლობელია, ეს მისი აგენტის დამსახურება არ არის? ძნელი წარმოსადგენია, ფენომენი ფეხბურთელი რონალდო ფენომენი ბიზნესმენიც იყოს. რა, ოცდაორი წლის ბრაზილიელი ბიზნესშიც ისევე ღრმად ერკვევა, როგორც ფეხბურთში? ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს დაიჭერსო — უთქვამთ ჩვენში. ჰოდა, რონალდოს ბიზნესმენობაც მისი პირადი აგენტის კომბინაცია გვგონია.

ისევე როგორც გვგონია, რომ ქართველი ფეხბურთელების როგორღაც მბჟუტავი კარიერა მათივე პირადი აგენტების უნიათობითაც არის გამოწვეული.

არ შეიძლება, ყველას ენდოს ფეხბურთელის ბედი. არ შეიძლება, ისედაც თითებზე დასათვლელი საფეხბურთო წლები ქარს გაატანოს ფეხბურთელმა. ფეხბურთელს მოვლა უნდა და პატრონობა. ფეხბურთელს ნორმალური პატრონი უნდა და მყვარებელი.

ჰოდა, ნორმალური აგენტი და პატრონი რომ არ ჰყავთ ჩვენს ლეგიონერებს, მათი ნიჭიც ამიტომ ვეღარ იხარჯება გამიზნულად.

ერთადერთი ფიფას ლიცენზირებული აგენტი გვყავს ქართველებს და მის გამოცდილებასაც ვერ ვიყენებთ სათანადოდ.

ნემსაძის, ჯამარაულის, შელიას, ქეცბაიას აგენტებს კი, ბოდიში და ტაშს ვერ დავუკრავთ. ქართული ფეხბურთის საჭიროებიდან გამომდინარე, ქეცბაია-„ნიუკასლის“ რეზერვისტს, ქეცბაია-„აეკის“ ძირითადი ფორვარდი გვირჩევნია.

სხვა საქმეა, თუ ფეხბურთელს ურჩევნია ძლიერი გუნდის რეზერვისტობა საშუალო გუნდის ძირითადში თამაშს. და ასეც რომ იყოს, აგენტი სწორედ იმისთვისაა მოწოდებული, რომ მუდამჟამ უკეთეს ვარიანტებს სთავაზობდეს ფეხბურთელებს.

ვერავინ იტყვის რონალდოზე, „ბარსელონაში“ თავს ცუდად გრძნობდაო, მაგრამ ადგა, თავი გამოისყიდა და „ინტერში“ გადავიდა.

მავანი იტყვის, სად რონალდო, სად ქართული ფეხბურთიო, მაგრამ თუ ბიჭები ვართ, კარგი მაგალითები უნდა ვეძებოთ. სხვანაირად ვერც ჩვენ გავხდებით კარგები. სხვანაირად ჩვენი ფეხბურთისა და ფეხბურთელების შემხედვარეთ სულ ვაი და ვიშით მოგვიწევს წერა. ეს კი, გვერწმუნეთ, სულაც არ არის სახალისო.

სირცხვილია, როცა გუნდიდან გაპარული ქართველი მობურთალები გუნდ-გუნდ, კარდაკარ დაძრწიან, აქაოდა, ვინმეს მოვეწონოთ და აგვიყვანონო.

გუნდების ძებნას, აგენტები მოვიძიოთ, ჯობს. აგენტი სპორტის „დაბლა ღმერთია“. ნებისმიერი სპორტის — კრივის, ფეხბურთის, რაგბის, ჩოგბურთის, თქვენ წარმოიდგინეთ, ბადმინტონის და ბიატლონის სადავეებიც აგენტებს უპყრიათ ხელთ. ჰოდა, ნუ ვეძებთ შველას ნურც თურქულ, ნურც ისლანდიურ გუნდებში, შველა სა-



გიორგი ქინქლაძე

ფეხბურთელი აგენტებშია.

რადგან დიდია მაიკ ტაისონი, მაგრამ უფრო დიდია თავიფოფა დონ კინგი. მან ალაზევა და მანვე დაამდაბლა რკინის მაიკი და ამიტომ არის უფრო დიდი.

მხოლოდ სპორტი, საფეხბურთო მეფლიო აგენტები სიდიადე გვიქადაგე.

**დალუპავენ ამ ბიჭებს...**

თანამედროვე ქართველ ფეხბურთელს ბზე ვერავინ იტყვის, ნიჭი ან მონდომება აკლიათო. თანამედროვე ქართველ ფეხბურთელებს ჯიგარი აკლიათ, მოედანზე თავის დადება უჭირთ, ბრძოლით ვერ იბრძვიან ბოლომდე, თორემ ისეთნი გვეზრდებოდნენ, ჩვენი გვეგონა ცა და ქვეყანა.

მერე კი გაიყინნენ ბიჭები. შეჩერდა მათი ზრდაც. ამიტომაა ისეთ კრიტიკას გამოგვტყუებენ ხოლმე, თქვენს მოწონებულს.

ასე იყო, თუ ისე, ამ თაობამ თავის საკეთებელს მეტ-ნაკლებად თავი მოაბა — ზოგი ძლიერ გუნდში თამაშობს, ზოგი საშუალოში, ზოგიც საერთოდ შეეშვა ფეხბურთელობას.

სხვებიც მოდიან. უფრო ახალგაზრდები და არანაკლებ ნიჭიერნი. მათ ახლა უნდათ მიხედვა. არ უნდა მიეშვას თვითდინებაზე ფეხბურთელთა ქვეყნიდან გასვლა. თორემ ნიჭი კვლავ ფუჭად გაიფლანგება და დალუპავენ ამ ბიჭებს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ჯანელიძემ მშივრებს ხელი აუქნია

*ფოთი, ზუგდიდი, სამტრედია, თელავი, თბილისი, ლანჩხუთი. იმ ქალაქების ჩამოთვლა, რომელთა საფეხბურთო კლუბებსაც ჯონი ჯანელიძე უძღვებოდა, კიდევ შეიძლება. თითოეულ ამ გუნდს სხვადასხვა დროს ამბიციებიც ჰქონია და საფიქრალ-საზრუნავიც. მათ ლიგაში დარჩენისთვისაც უბრძოლიათ და ხშირად არც მატერიალური პირობებით ყოფილან განებივრებულნი. მწვრთნელსაც არცთუ იშვიათად უხდებოდა ერთი გუნდიდან მეორეში გადაბარგება და საქმის თავიდან დაწყება. თუ რა რთულია ყოველივე ეს, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. ფაქტობრივად, სფფ-ის IV ყრილობაზე ჯონი ჯანელიძის ლანჩხუთის „გურიას“ მწვრთნელის რანგში გამოსვლა მისი „გედის სიმღერა“ გამოდგა. დღეს გამოცდილი სპეციალისტი კვლავ უმუშევარია. ჩვენი საუბარიც ამ პრობლემით დაიწყო.*

**— რომელიმე გუნდში დიდხანს დარჩენაში უმთავრესად რა გიშლიდათ ხელს?**

— ალბათ, მათი უსახსრობა. ჩემთვის არ არსებობდა ცუდი და კარგი გუნდი. შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, თითოეულ მათგანს გარკვეული წარმატებებისთვის მიეღწია. არც „გურია“ იყო ხელწამოსაკრავი და ურიგოდ დაკომპლექტებული კლუბი. საჭირო იყო ელემენტარული ხელშეწყობა.

**— ხელშეწყობაში რას გულისხმობთ?**

— ზედმეტი არასოდეს მომითხოვია. უმთავრესი, რაც კლუბებს უნდა ჰქონოდა, ხელფასი, პრემია და სპორტული ინვენტარი იყო. დანარჩენი მწვრთნელისა და ფეხბურთელების საქმეა.

**— დღეს უმუშევარი ბრძანდებით. სხვა კლუბებიდან ხომ არ მიგიღიათ წინადადებები?**

— არა. ლანჩხუთელებს კუთვნილი ანაზღაურებაც არ მოუციათ. ისეთი გუნდის მწვრთნელობა მსურს, რომელსაც საფეხბურთო მეურნეობა მოწესრიგებული ექნება.

**— ქართულ ფეხბურთში უპირველესად რა უნდა შეიცვალოს?**

— საქმეს ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები უნდა გაუძღვნენ და არა შემთხვევითი, მავანთა ზემოქმედებით ფეხბურთს მიტმასნილი ხალხი. დღეს ქართულ ფეხბურთში მოღვაწეობა გმირობის ტოლფასია. მწვრთნელებმაც და ფეხბურთელებმაც ერთობლივი ძალისხმევით უნდა დავძლიოთ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირე, ვაჟკაცურად გადავლახოთ დაბრკოლებები და შედეგიც გვექნება.

**— სფფ-ის ახალმა ხელმძღვანელობამ რა უნდა შეცვალოს საფეხბურთო მეურნეობაში?**

— პირველ ყოვლისა, მინდა მადლობა ვუთხრა სფფ-ის ძველ ხელმძღვანელობას რვა წლის მანძილზე გაწეული შრომისთვის. გაჭირვების ჟამს, როდესაც საქართველოში თითქმის ყველაფერი ჩაკვდა, საფეხბურთო ჩემპიონატი წუთითაც არ შეჩერებულა. ფედერაციის თავკაცებმა ხუთი ნაკრები გაიყვანეს საერთაშორისო ასპარეზზე. თუმცა, რასაკვირველია, მათ საქმიანობაში ხარვეზებიც იყო. იმედია, სფფ-ის ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს წინამორბედთა შეცდომებს და ახალგაზრდული შემართებით, მეტი პროფესიონალიზმით გადაწყვეტს ქართული ფეხბურთის პრობლემებს. უპირველესად საფეხბურთო მეურნეობა უნდა მომძლავრდეს. როგორც მწვრთნელს, მიმაჩნია, რომ თამაშის ხარისხის გაუმჯობესება მწვრთნელთა კვალიფიკაციასა და კლუბების კარგ მატერიალურ პირობებზეა დამოკიდებული.

მხოლოდ ამ საკითხების მოგვარების შემდეგ შეიძლება სათამაშო დონის ამაღლებაზე ფიქრი. ქართულ ფეხბურთს პროფესიონალიზმი გადაარჩენს.

**— საქართველოში რომელი კლუბია შედარებით უკეთეს მდგომარეობაში?**

— რა თქმა უნდა, თბილისის „დინამო“. მატერიალური თვალსაზრისით სტაბილური მდგომარეობაა თბილისის სხვა კლუბებში — „მერანში“, „ვიტ ჯორჯიაში“, „არსენალში“, ფოთის „კოლხეთში“, აგრეთვე ბათუმის „დინამოში“. ამ მხრივ კარგი სიტუაცია იყო ქუთაისის „ტორპედოში“.

**— მოდით, მსაჯებზეც ვთქვათ.**

— მათ ფეხბურთის განვითარებაში დიდი როლი აკისრიათ. ჩვენ გვყავს მაღალკვალიფიციური არბიტრები. წინა წლების კვალობაზე საგრძნობლად წავედით წინ. მსაჯობის დონე საგრძნობლად ამაღლდა, მაგრამ არის ერთი გარემოება: არბიტრი ნებისმიერი თამაშისთვის, რომელ ლიგაშიც უნდა ტარდებოდეს იგი, სერიოზულად უნდა ემზადებოდეს. ცხადია, ამისთვის საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულებაა საჭირო. წარმატებული მსაჯობა გაზრდილი ჰონორარით უნდა შეფასდეს, წარუმატებელი კი — ფინანსური სასჯელით. საერთოდ, სჯობს, მსაჯების ანაზღაურება ხდებოდეს არა კლუბებში, არამედ ფეხბურთის ფედერაციაში.

**— ფეხბურთელების მიგრაციის პრობლემა?**

— ნამდვილად ვერ მივესალმები მოთამაშეთა უცხოეთში წასვლის ფაქტს. ვისაც არ ეზარება, ყველა გარბის. არადა, საქართველოში რამდენიმე ფეხბურთელი თუ იმსახურებს უცხოეთის კლუბში თამაშს. მიგრაციის შესაჩერებლად ცენზის შემოღება არ შეიძლება, რადგან ეს ადამიანის უფლებების დარღვევაა. ცხადია, სასურველია, მოთამაშეები საქართველოზე უკეთეს საფეხბურთო ქვეყნებში მოხვდნენ, რათა კლასი აიმაღლონ, მაგრამ ბევრ ისეთ ფეხბურთელს სურს საზღვარგარეთ წასვლა, რომელთაც აქ საქართველოში, არაფრისთვის მიუღწევიათ და არც თავი გამოუჩენიათ. უკონტროლო მიგრაციას საკონტრაქტო საკითხების მოუგვარებლობაც უწყობს ხელს. ფორმდება კონტრაქტი პრეზიდენტთან, რომელიც კლუბიდან ყველაზე ადრე მიდის, ხელშეკრულება კი ფარატინა ქაღალდად რჩება და მასზე პასუხისმგებელი კლუბში არავინაა. სფფ-ის ახალმა ხელმძღვანელობამ ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს და მდგომარეობა გამოასწოროს.

**— ნაკრებისა და კლუბების ჩავარდნის მიზეზად რას მიიჩნევთ?**

— მოთამაშეთა მხრივ საქმისადმი არასერიოზულ მიდგომას. საერთაშორისო ასპარეზზე კლუბის სახელით თამაშობს თუ ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავს, ფეხბურთელს უნდა ესმოდეს, რომ იგი ერისა და ქვეყნის სახეს წარმოაჩენს. თითოეული მათგანი ეროვნულ ნაკრებში ღირსეული გამოსვლით ფასდება. ჯერ დაკარგული არაფერია, ნაკრებს შესწევს ძალა, დარჩენილ მატჩებში კარგად იასპარეზოს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდეს.



ჯონი ჯანელიძე: ფეხბურთში ერთი ვარჯიშით ვერაფერს მიაღწევ!

**— ძალიან პესიმისტური საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, ქართული ფეხბურთის მომავალზეც ვთქვათ.**

— კარგი ახალგაზრდობა იზრდება. როგორც კი კლუბები ეკონომიკურად მომძლავრდებიან, ნორმალური საარსებო პირობები შეიქმნება, შედეგიც არ დააყოვნებს. დღეს თანამედროვე ფეხბურთში ერთი ვარჯიშით ვერაფერს მიაღწევ. საჭიროა ორჯერადი, სამჯერადი ვარჯიშები, აგრეთვე სარეაბილიტაციო, აღდგენითი ცენტრები. ეს რომ მოგვარდება, ეროვნული ჩემპიონატის დონეც ამაღლდება. გუნდების რაოდენობის შემცირება გამოსავალი არაა. ყველა კლუბს უნდა ჰყავდეს ძლიერი სპონსორი, რათა ერთჯერადი დახმარება გამოირიცხოს. სახელმწიფომ შეღავათი უნდა გაუწიოს ფეხბურთთან დაკავშირებულ ბიზნესმენებს. სფფ-ის ახალმა პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა კი საქმისადმი პროფესიული მიდგომით ქართული ფეხბურთი ევროპულ და მსოფლიო ელიტაში უნდა დაამკვიდროს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი 13 ტური

# ქართული ფეხბურთის ტიტან(იკ)ები

**საიუბილეო ჩემპიონატის მე-13 ტურში ჩვენი ფეხბურთის ტიტანებად აღიარებული „ბათუმი“ და „კოლხეთი“ შეეჯახებიან ერთმანეთს. მუდმივი პრიზიორების ორთაბრძოლა, იმედია, უშეღავათო იქნება. თუმცა სხვა შეხვედრებშიც დაძაბულ პაექრობებს უნდა ველოდოთ. ამ ტურმა საბოლოოდ უნდა გამოავლინოს უსახსრობისა და უკლასობის გამო ქართული ფეხბურთის უკუნეთში ჩასაძირად განწირული „ტიტანიკები“**

ბათუმი
7 ნოემბერი
14 საათი
დინამო
18 000

**ბათუმი — კოლხეთი**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი);
ს. შალამბერიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი);
ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ჯ. ანთიძე

...უდავოდ ტურის ცენტრალური შეხვედრაა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეროვნული ჩემპიონატის მთელი არსებობის მანძილზე ზღვისპირელთა მატჩები მუდამ უკომპრომისობით გამოირჩეოდა და მეორეც — „ბათუმიც“ და „კოლხეთიც“ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები არიან. მეთორმეტე ტურის შეხვედრებში ორივემ გაიმარჯვა. კოლხებმა გაჭირვებული „ოდიში“ მიიღეს და დიდი ანგარიშითაც დამარცხეს. ბათუმელებს რაც შეეხებათ, თუმც მსაჯის გვარიანი ხელშეწყობით, თსუ-ს მოუგეს გასვლაზე მინიმალური ანგარიშით. ამ გამარჯვებებით გუნდებმა ცხრილში ზემოთ აინაცვლეს და ჩვეულ სატურნირო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

სათამაშო მანერით და სიძლიერით წლევანდელ სეზონში „კოლხეთი“ უფრო გამართული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. სტარტისეული ჩავარდნა კოლხებმა მალევე აღმოფხვრეს და დაახლოებით მეშვიდე ტურისთვის თავიანთ თავსაც დაემსგავსნენ. „კოლხეთის“ შემადგენლობაში თავდასხმის ხაზი აშკარად ძლიერია. გვასალია-წივწივაძის მობილურ ტანდემს სწრაფი გაბისონიაც დაემატა და ახლა კოლხთა ფორვარდები ნებისმიერი გუნდისთვის გვარიან თავსატეხს წარმოადგენენ.

ნელ-ნელა უმატებს „ბათუმიც“. ჩვეულ ფორმაში შედის მაჭუტაძე და ბოლო ტურებში გოლი გოლზე გააქვს. ბათუმელთა ამჟამინდელი შემადგენლობა რახანია ერთად აგორებს ბურთს და თუკი ამ შეხმატკბილებას ფეხბურთელთა საკმაოდ ნორმალურ კლასსაც დავუმატებთ, მეათე ეროვნულ ჩემპიონატში ზღვისპირელთა ასეთი სუსტი სტარტი ცოტა გასაკვირიც კია.

შარშა უპირატესობა ბათუმელთა მხარეს იყო. მათ ექვსიდან ოთხი ქულა აართვეს ფოთელებს. მაგრამ „ბათუმ“ — „კოლხეთის“ მატჩი იმდაცაა საინტერესო, რომ მის შედეგს ვერავინ იწინასწარმეტყველებს.



„ბათუმი“ — „კოლხეთი“ 0:0. აჭარული განდაგანა პაატა მაჭუტაძის შესრულებით. ეს იყო ექვსი წლის წინათ

მცხეთა
6 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
3 000

**ვიტ ჯორჯია — თსუ**

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი);
ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი;
ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

სამი ტურია, სტუდენტებს ვერ მოუგიათ. ჯერ იყო და ფოთელებთან დამარცხდნენ, შემდეგ ზუგდიდელებთან ითამაშეს ფრედ, ბოლოს კი ბათუმელებთან დათმეს მატჩი. დაგვეთანხმებით, გაბელიას შეგირდებს სათამაშო ხარისხის გაუმჯობესება მართებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სატურნირო ცხრილის ფსკერიდან თავის დაღწევა ძალიან გაუჭირდებათ. დროა, სტუდენტებმა უიღბლო სერია შეწყვიტონ, თუმცა ამის გაკეთება ვეტერინარებთან მეტად გაუძნელდებათ. თსუ-ს მსგავსად, ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიაც“ დამარცხდა „სიონთან“ და თსუსთან უთუოდ მოგებაზე ფიქრობს, მაგრამ ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოაგვარებს გუნდი ჭანკოტაძის არყოფნის პრობლემას. ჭოხონელიძემ მისი სრულფასოვნად შეცვლა ვერ შეძლო, რის გამოც მაისურაძეც ვერ გამოიყურებოდა სათანადოდ. აქედან გამომდინარე, ვეტერინართა დაცვის ხაზი გარკვეულწილად დასუსტდა, რაც სტუდენტ თავდამსხმელებს შედარებით გაუიოლებს საქმეს, თუმცა ვეტერინართა მეკარე სერგო ჭურაძის კარის დალაშქვრა ადვილი საქმე როდია.

როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ერთი რამ ნათელია, მცხეთაში უშეღავათო ბრძოლის მოწმენი გავხდებით.

ქუთაისი
7 ნოემბერი
14 საათი
გივი კილაძე
23 800

**ტორპედო — მერანი**

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი);
ა. სამხარაძე (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი);
გ. ცირდავა (გულრიფში)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

მხოლოდ მამაზეციერმა უწყის, ჩატარდება თუ არა ეს შეხვედრა. მხოლოდ სასწაულმა უნდა შეძლოს გაფიცულ ტორპედოელთა საამმატჩოდ დაყოლიება. ეს სასწაული კი ფული და სიმართლე გახლავთ. მხოლოდ შეპირებული თანხის გასტუმრებით რომ ვერ გამოიყვანენ ქუთათურებს მოედანზე, ფაქტია. ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი გუნდის მესვეურებისგან მართალ სიტყვას ითხოვს ფეხბურთელებს, ბოლოს და ბოლოს, სიმართლის გაგება სურთ ახალი სპონსორის შესახებ, რაოდენ მწარეც უნდა იყოს იგი.

ფინანსების მხრივ „მერანს“ შედარებით დალხინებულად აქვს საქმე, მაგრამ მათი თამაშის შემხედვარე კლუბის სპონსორები აშკარად უკმაყოფილონი არიან. ტრანსპორტელებმა 13 სექტემბრის შემდეგ გამართულ ხუთ მატჩში ერთი გოლის გატანაც ვერ მოახერხეს.

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრათა ბალანსი თანაბარია. „სინათლეზე“ „მერანმა“ ორჯერ მოუგო სტუმრებს, „გივი კილაძეზე“ კი „ტორპედომ“ ამდენჯერვე იმარჯვა.

ტრანსპორტელები ქუთაისში დიდი დანაკლისით ჩავლენ. სამი ყვითელის გამო მათი დაცვის ბურჯი გიორგი დავითნიძე ვერ ითამაშებს. ასევე სათუოა ტრავმირებული მიხეილ მესხის ბურთაობაც. ასე რომ, „მერანს“ ძალიან გაუჭირდება იმერეთიდან ქულის წამოღება.

ლანჩხუთი
7 ნოემბერი
14 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
22 000

**გურია — დინამო**

მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი);
ლ.მიქელაძე, გ.ჩიგოგიძე; მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

კიდევ ერთი კონტრასტული შეხვედრა — ალბათ, მშიერთაგან უმშიერესი და მაძღართა შორის ყველაზე მაძღარი გუნდები ხვდებიან ერთმანეთს. შედეგიც არავისთვის იქნება ამოუცნობი, თქმა არ უნდა, „დინამო“ მორიგ სამ ქულას წამოიმძღვარებს ლანჩხუთიდან, გურულები კი, თუ მათი კონკურენტი თსუ მარჯვედ გაისარჯა, კვლავ დაიძირებიან სატურნირო ცხრილის ფსკერზე.

თუმცა არც „დინამოა“ უპრობლემოდ. მისი წამყვანი ფეხბურთელები უცხოეთს ეშურებიან და მათი შეცვლა არც ისე ადვილია. თუ ხომერიკის შემცვლელი თავდასხმაში შენგელიას ან მელქაძის სახით გამოიძებნება, კიკნაძე და ცქიტიშვილი ამჟამინდელი „დინამოსთვის“ მართლაც რომ შეუცვლელები არიან და მათი არყოფნით მარადი ჩემპიონის ნახევარდაცვა შესამჩნევად დასუსტდება.

„დინამომ“ წინა ტურში პირველი ადგილის მოცილე — „ტორპედო“ დაამარცხა და თუკი ქუთათურთა უკიდურესი გაჭირვებით ვიმსჯელებთ, საბოლოოდაც ჩამოიცილა მეტოქე. მეორე წრემდე ჯერ შორია, პირველში კი თბილისელებმა ყველა ძლიერ კონკურენტთან უკვე ითამაშეს და ჩემპიონატის შუაგზას ისინი უეჭველად ლიდერის რანგში შეხვდებიან.

მცხეთა
7 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
3 000

**ლოკომოტივი — გორდა**

მსაჯები: თ. ლაცაბიძე;
ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე;
გ. მგელაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

მაძღართა და დამშეულთა თამაში, აბა, რა თვალსასეირო უნდა გამოდგეს, მაგრამ წინა ტურში რუსთაველებმა სამტრედიელთა ძლევით ერთობ გამოიკეთეს განწყობა და ვინ იცის, ეგებ მცხეთაშიც შეძლონ ღირსეულად ბურთაობა. თანაც მათი გუნდის ლიდერმა ვარლამ კილასონიამაც მოიშუშა ტრავმა და ჩვეულად ირჯება. საამმატჩოდ, ალბათ, რკინიგზელებსაც წამოეშველება იმავე მიზეზით დროებით მოსაკლისებული გიორგი ღუდუშაური.

საევროპო ამბიციებით შეპყრობილმა, ჯერჯერობით დაუმარცხებელმა „ლოკომოტივმა“ უკვე საკმაო ქულები გაანიავა და ყველანაირად შეეცდება, მჭიდროდ მიუახლოვდეს ლიდერებს. თემურ მახარაძემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის შეგირდებს თავდასხმაშიც ისე ნაყოფიერად ძალუძთ თამაში, როგორც დაცვაში. შარშანდელ სეზონში კრინიგზელებმა ორივე შეხვედრაში სძლიეს რუსთაველებს. ხვალაც, ალბათ, ასეთივე შედეგს უნდა ველოდოთ და აქ არაფერი იქნება გასაკვირი.

თუმცა, ვინ იცის, რა მოხდება, ბურთი ხომ მრგვალია. თანაც ამ გუნდებს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ფრეებზე შეყვარებულნი, რა თქმა უნდა, მათი მონაცემების გათვალისწინებით.

გორი
7 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
8 230

**დილა — სამგურალი**

მსაჯები: ს. კახიანი;
ვ. ჩოჩიშვილი, ა. მეშკოვი;
ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

ეს ორი გუნდი მეათე ეროვნულ ჩემპიონატში სხვადასხვა ამოცანის წინაშე დგას. თუ გორელებს ასე თუ ისე საქმე დალხინებულად აქვთ, „სამგურალი“ მეტად რთული პრობლემის წინაშე დგას. წყალტუბოელებმა გასულ ტურში მათსავით წყალწაღებულ „გურიას“ კი სძლიეს, მაგრამ კრიზისიდან გამოსასვლელად ჯერაც ბევრის გაკეთება მართებთ. მასპინძლები კი, ამ მატჩში ფავორიტებად ითვლებიან. გორელთა ახალგაზრდულმა გუნდმა მართლაც შთამბეჭდავად დაიწყო წლევანდელი სეზონი და ლიდერთა მარაქაშიც მალევე გაერია. თუმც ქართლელებმა ბოლო ორი შეხვედრა აშკარად ჩააგდეს, წინა ტურში მათ ასე თუ ისე საპატიო მიზეზით დაკარგეს ორი ქულა — „დილა“ სტუმრად „არსენალთან“ თამაშობდა, „გურიასთან“ მათი დამარცხება კი ერთგვარი მოულოდნელობა იყო. ვინ იცის, იქნებ გორელებს მცირედი კრიზისიც შეეპარათ. შარშან ამ გუნდების შეხვედრა გორში მასპინძელთა გამარჯვებით (2:0) დამთავრდა.

გაიოზ დარსაძის შეგირდებს დიდი გარჯა მართებთ, რათა უხერხულ მეტოქეს ერთი ქულა მაინც აართვან. „სამგურალს“ უკანდასახევი გზა ხომ კარგახანია მოჭრილი აქვს.

ზუგდიდი
7 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
7 500

**ოდიში — არსენალი**

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ს დელეგატი: ა. დურსუნიში

გაჭირვებული ოდიშარების შემდგომი ბედი ბეწვზე ჰკიდია. გაქცეული პრეზიდენტი, უსახსრობა, ფეხბურთზე და გუნდზე გულაცრუებული ფეხბურთელები — დაგვეთანხმებით, ასეთი „თაიგულით“ ბევრს ვერაფერს მოიმკიან მეგრელები. ამიტომაც სათუოა, ჩატარდება თუ არა ზუგდიდში შეხვედრა. ვინ იცის, ერთხელაც დაუჯერონ სოსო ჭედიას სიტყვებს და ავტორიტეტს „ოდიშის“ ფეხბურთელებმა, მაგრამ მერე?

„არსენალს“ კი მშვენივრად შეუძლია გასვლაზე წარმატებულ შედეგს გამოჰკრას ხელი. არმიელები ამართლებენ თავიანთ მფარველთა იმედებს, სახელს და ყველა შეხვედრაში ბოლომდე იბრძვიან. წინა ტურში მათ „დილასთანაც“ მოიპოვეს ერთი ქულა. მატჩს ინტრიგას ისიც მატებს, რომ ამ შეხვედრაში გამარჯვებით „არსენალს“ შეუძლია სატურნირო ცხრილში „ადგილი გაუცვალოს“ დამხვდურ მეტოქეს და მასთან სამქულიანი მარაგიც შეიქმნას.

ისედაც პრობლემებმოძალებულ „ოდიშს“ ახლა შემადგენლობაში კაცნაკლულობაც თან დაერთო. „კოლხეთთან“ გაძევებული ბარქაია ამ შეხვედრას უეჭველად გამოტოვებს და შეძლებს თუ არა ჭედია ღირსეული შემცვლელის მონახვას, არავინ იცის.

ერთი სიტყვით, კონტრასტია სახეზე — მშიერი „ოდიში“ — მაძღარი „არსენალი“ ოღონდ თუ მატჩი ჩატარდა.

სამტრედია
7 ნოემბერი
14 საათი
ეროსი მანჯგალაძე
15 000

**იბერია — სიონი**

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი);
ლ. რაზმაძე (გორი), დ. თოდუა (მარტვილი);
ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

წინა ტურში ვეტერინარებთან გამარჯვების შემდეგ ბოლნისელები სამტრედიელებთან ქულის მოპოვებას მაინც ეცდებიან. მასპინძლები კი მხოლოდ მოგებას გეგმავენ. ამის საფუძველს სამტრედიელებს ნახევარდაცვისა და თავდასხმის კარგი თამაში აძლევთ, რაც დაცვაზე არ ითქმის. ასეთივე მდგომარეობაში არიან სტუმრებიც. მცველთა პრობლემამ „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრაშიც იჩინა თავი, როცა მათი უნიათობის გამო ნახევარდამცველებისა და თავდამსხმელების გარჯა კინაღამ წყალში ჩაიყარა. და კიდევ: „სიონს“ თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ერთი ტაიმის გუნდი. დიდი ფიზიკური გამძლეობით საქართველოში ვერც ერთი კლუბი დაიკვეხნის, მაგრამ ბოლნისელები სუსტებშიც კი ყველაზე უარესად გამოიყურებიან — სათამაშო დროის ერთ მესამედს ისინი, შეიძლება ითქვას, ისვენებენ, მაგრამ რა იქნება ხვალ, მაინც ძნელი სათქმელია.

საქართველოს ჩემპიონატი 12 ტური

31 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| სამგურალი | 2 |
| გურია | 1 |
| დინამო | 1 |
| ტორპედო | 0 |
| გორდა | 1 |
| იბერია | 0 |
| სიონი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| კოლხეთი | 5 |
| ოდიში | 1 |

1 ნოემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| თსუ | 0 |
| ბათუმი | 1 |

2 ნოემბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| მერანი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |

3 ნოემბერი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| არსენალი | 2 |
| დილა | 2 |

XIV ტური

14 ნოემბერი. შაბათი
არსენალი — სამგურალი
15 ნოემბერი. კვირა
დინამო — დილა
ოდიში — ბათუმი
გორდა — ტორპედო
სიონი — ლოკომოტივი
თსუ — იბერია
კოლხეთი — ვიტ ჯორჯია
16 ნოემბერი. ორშაბათი
მერანი — გურია

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 2 | 11 | 8 | 3 | 0 | 36:7 | +29 | 27 | 6 | 5 | 1 | 0 | 27:6 | +21 | 16 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:1 | +8 | 11 |
| 2 ტორპედო (4) | 1 | 12 | 8 | 2 | 2 | 29:13 | +16 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 18:5 | +13 | 13 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | +3 | 13 |
| 3 კოლხეთი (3) | 5 | 11 | 7 | 2 | 2 | 28:14 | +14 | 23 | 7 | 6 | 1 | 0 | 22:5 | +17 | 19 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 4 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 3 | 12 | 5 | 7 | 0 | 15:5 | +10 | 22 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:1 | +4 | 9 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:4 | +6 | 13 |
| 5 დილა (9) | 4 | 12 | 6 | 3 | 3 | 18:13 | +5 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | +6 | 12 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 9 |
| 6 ბათუმი (2) | 6 | 12 | 5 | 5 | 2 | 19:10 | +9 | 20 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:3 | +9 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 9 |
| 7 იბერია (დ) | 7 | 12 | 5 | 1 | 6 | 22:26 | -4 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | +6 | 10 | 7 | 2 | 0 | 5 | 10:20 | -10 | 6 |
| 8 ოდიში (5) | 9 | 12 | 4 | 1 | 7 | 9:21 | -12 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 6 |
| 9 არსენალი (დ) | 10 | 12 | 3 | 4 | 5 | 15:22 | -7 | 13 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | -6 | 7 |
| 10 მერანი (7) | 11 | 12 | 2 | 7 | 3 | 7:11 | -4 | 13 | 7 | 1 | 5 | 1 | 2:2 | 0 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 5 |
| 11 გორდა (11) | 14 | 12 | 2 | 6 | 4 | 7:8 | -1 | 12 | 7 | 2 | 4 | 1 | 5:3 | +2 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 2 |
| 12 ვიტ ჯორჯია (10) | 8 | 12 | 4 | 2 | 6 | 13:14 | -1 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | -1 | 8 |
| 13 სიონი (13) | 15 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:27 | -14 | 11 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | +2 | 11 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:18 | -15 | 0 |
| 14 სამგურალი (12) | 16 | 12 | 3 | 1 | 8 | 11:27 | -16 | 10 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:20 | -15 | 1 |
| 15 გურია (14) | 12 | 12 | 3 | 1 | 8 | 14:31 | -17 | 10 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | +1 | 9 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:23 | -18 | 1 |
| 16 თსუ (8) | 13 | 12 | 2 | 3 | 7 | 11:18 | -7 | 9 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:13 | -5 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

## A ჯგუფი

### კროაცია 3:1 პორტუ

1:0 მიკიჩი (7), 2:0 რუკავინა (37), 2:1 ჟარდელი (39), 3:1 მუიჩინი (61)
კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, იურიჩი, სიმიჩი, რუკავინა, კრენარი (ბისკანი 46), სარიჩი (ცვიტანოვიჩი 75), იელიჩიჩი, მუიჩინი, მარიჩი (სიმიჩი 55), მიკიჩი
პორტუ: კრალი, სეკრეტარიუ, ალოიზიო (მელჩარსკი 75), მენდესი (ჩიპო 75), მანუელ პინტუ, დორივა, პაულინიუ სანტუში, ზაჰოვიჩი, ნუნო კაპუჩო, დრულოვიჩი, რუი ბარუში (ჟარდელი 27)

### აიაქსი 2:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ვიჩხე (32), 2:0 გორი (88)
აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი (დანი 37), ოლისე, ფ. დე ბური, სიერი, რ. დე ბური, ვიჩხე, ლიტმანენი (გორი 40), არველაძე (მაკართი 27), ვამბერტო, პუქტრა
ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, მავროგენიდისი, ანატოლაკისი, კარატაიდისი, გეორგიატოსი, კარაპიალისი, პასალისი, ჯორჯევიჩი (ნინიადისი 68), იანაკოპულოსი, ალექსანდრისი (ოფორი კუაე 54), გოგიჩი (ივიჩი 75)

— ახლა ჯგუფში კარგი სიტუაციაა. მეოთხედფინალში გასვლის ძალიან დიდი შანსი გვაქვს და საამისოდ ვიბრძოლებთ კიდეც. დღეს კარგად ვითამაშეთ, გუნდით კმაყოფილი ვარ. იმედია, მომავალ შეხვედრაში, „კროაციასთანაც“ ასე იქნება. „აიაქსს“ შესწევს ძალა, მეოთხედფინალის საგზური მოიპოვოს — პრესკონფერენციაზე ამსტერდამელთა თავკაცი მორტენ ოლსენი თავს შესანიშნავად გრძნობდა. მწვრთნელი კი ილიმებოდა, მაგრამ მისი გუნდის თამაშიდან გამომდინარე, მიუხედავად გამარჯვებისა, საქმე სასაცილოდ სულაც არ იყო — „ოლიმპიაკოსმა“ იმდენად ცუდად ითამაშა, რომ მისი დამარცხება „აიაქსზე“ სუსტ გუნდსაც არ გაუჭირდებოდა.

სანამ მორტენ ოლსენმა შოთა არველაძე არ შეცვალა, მანამ ამსტერდამელებმა ვერ გაიხარეს. ტრავმირებული ქართველი თავდამსხმელის ნაცვლად შესულმა სამხრეთაფრიკელმა ფორვარდმა ბენედიქტ მაკართიმ უმალ შესანიშნავი პასი მიაწოდა რიხარდ ვიჩხეს, ამ უკანასკნელმა კი ზუსტი დარტყმით ამსტერდამელები დააწინაურა.

მეორე ტაიმში მასპინძელი „აიაქსი“ უტევდა, სტუმარი „ოლიმპიაკოსი“ კი კარის დაცვაზე ზრუნავდა და მეტოქის დამწუხრებას უცაბედი თავდასხმებით, კონტრშეტევებით ლამობდა. ელინთა ტაქტიკამ შედეგი არ გამოიღო.

თამაშის მიწურულს ჰოლანდიის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა გუნდმა ერთბურთიანი უპირატესობა გაზარდა — დინ გორიმ „ოლიმპიაკოსის“ კარის ბადე მეორედ შეარხია. თითო გოლი თითო ტაიმში — გამარჯვებაც მოპოვებულია.

— „აიაქსს“ უნდა მოეგო, რადგან ჩვენზე უკეთ ითამაშა. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ რა ვქნა, რეალობა ასეთია — მარცხმა ჩვენი მეოთხედფინალში გასვლის შანსი ძალიან შეამცირა. თუმცა მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ — „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელი დუშან ბაევიჩი ნამდვილად არ იყო კარგ გუნებაზე.

სანამ „ამსტერდამ არენაზე“ მასპინძლები ბერძნებს ამარცხებდნენ, ზაგრებში ხორვატთა უძლიერესი გუნდი პორტუგალიის ჩემპიონ „პორტუს“ არცხვენდა. საბოლოო ჯამში „კროაციამ“, რომელსაც მანამდე სამ თამაშში გოლი ვერ გაჰქონდა, მეტოქის კარი სამჯერ დალაშქრა, მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა და დამსახურებული სამი ქულაც დაისაკუთრა.

— მატჩამდე ჩვენს შანსებს რატომღაც ძალიან უმნიშვნელოდ მიიჩნევდნენ, მაგრამ ცდებოდნენ. მიხარია, რომ გუნდის გამარჯვებაში წვლილი მეც შევიტანე — განაცხადა „კროაციას“ ბოსნიელმა თავდამსხმელმა ედინ მუიჩინმა. ცნობისთვის: მუიჩინი „კროაციას“ საუკეთესო ბომბარდირია შინაურ სარბიელზე.

მასპინძელთა ახალმა მწვრთნელმა ველიმორ ზაიეცმა პორტუგალიელებთან გამარჯვება ყმაწვილ თავდამსხმელს, ხორვატ მაიკლ ოუენად წოდებულ მაიკელ მიკიჩს დაუკავშირა. 18 წლის ფორვარდმა, რომელიც მარკ ვიდუკას ნაცვლად თამაშობდა, მასპინძელთაგან პირველმა დალაშქრა „პორტუს“ მეკარის ივიცა კრალის კარი.

სტუმრებს ბრაზილიელი მარიო ჟარდელის კარგი თამაშის წყალობით შეეძლოთ მატჩი ეხსნათ, მაგრამ შეტევების დაგვირგვინებისას უყურადღებოდ თამაშობდნენ.

REUTERS ამსტერდამიდან




აიაქსი — ოლიმპიაკოსი. დანიმ კარატაიდისზე, „აიაქსმა“ კი „ოლიმპიაკოსზე“ იძია შური

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აიაქსი | ⚽ | 2:0 | 2:1 | 25.11 | 4:2 | 7 |
| 2 | ოლიმპიაკოსი | 1:0 | ⚽ | 25.11 | 2:0 | 5:4 | 7 |
| 3 | პორტუ | 09.12 | 2:2 | ⚽ | 3:0 | 7:7 | 4 |
| 4 | კროაცია | 0:0 | 09.12 | 3:1 | ⚽ | 3:6 | 4 |

## B ჯგუფი

### იუვენტუსი 1:1 ბილბაო

0:1 გერერო (45), 1:1 მონტერო (68)
იუვენტუსი: პერუცი, მონტერო, დი ლივიო (პეროტა 84), იულიანო, პესოტო (ამორუზო 55), ტუდორი (ბლანშარი 46), ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი, დელ პიერო, ინძაგი
ბილბაო: ი. ეჩებერია, იმასი (ლაკრუსი 57), ესკურერო (ურსაისი 67), ლარასაბალი, კარლოს გარსია, ფერეირა, ხ. ეჩებერია, გერერო, ალკისა, ლასა (ბოლო 71), რობერტო რიოსი

### გალათასარაი 3:0 რუსენბორგი

1:0 ჰაქან შუქური (54), 2:0 არიფი (65), 3:0 ჰაქან შუქური (73)
გალათასარაი: ტაფარელი, ფათიჰი, პოპესკუ, ფილიპესკუ, ოქანი (თალაი 83), თუგაი, ერგუნი (არიფი 46), ჰაქან უნსალი, ჰაჯი (დავალა 78), ჰაქან შუქური, ჰასანი
რუსენბორგი: არასონი, ბასმა, იონსენი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი, სკამელსრუდი, ბერგი, დალუმი (ჰერნესი 60), რუდფელდტი, იაკობსენი (სორენსენი 60)

REUTERS ტურინიდან



იუვენტუსი — ბილბაო. მავანთა მიერ ფავორიტად შერაცხული „იუვენტუსი“ მონტეროს ენერგიული თამაშის მიუხედავად, შეიძლება ჯგუფში დარჩეს

კენჭისყრის შემდეგ უმეტესობამ ტურინის „იუვენტუსს“ ჯგუფში იოლი გამარჯვება უწინასწარმეტყველა, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა. იტალიის ჩემპიონატის ლიდერმა ბილბაოელი მეტოქე ვერც ამჯერად დაამარცხა. მთლიანობაში კი მეოთხე შეხვედრაც ფრედ დაასრულა. „იუვენტუსი“ დაუმარცხებელი დარჩა, მაგრამ ჯგუფის ლიდერი მაინც არაა — „რუსენბორგთან“ რევანშით თურქეთის „გალათასარაიმ“ პირველი ადგილი დაიპყრო.

მიუხედავად შინ თამაშისა, „იუვენტუსს“ უჭირდა. ეგ კი არა, მდევრის როლშიც აღმოჩნდა. პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე ხოსება ეჩებერიამ ტურინელთა 20 წლის ხორვატ მცველ იგორ ტუდორს პოზიციური შეცდომა არ აპატია და გამოჯანმრთელებულ იულენ გერეროს ორთა შუა პასი „გაუჭრა“, ამ უკანასკნელმა კი წინ გამოსულ ანჯელო პერუცის შრომა წყალში ჩაუყარა — 0:1.

მასპინძლების თამაშზე დიდი გავლენა მოახდინა ფრანგი ნახევარმცველის, მსოფლიოს ჩემპიონ დიდიე დეშამპის არყოფნამ. მის ნაცვლად მოედნის შუაგულში გამწესებული ანტონიო კონტე ერთი შეხედვით კარგად კი გაირჯა, მაგრამ მთლიანობაში „იუვენტუსის“ ნახევარდაცვამ აშკარად ვერ ითამაშა იმ დონეზე, როგორსაც მისგან მოელოდნენ.

— დასანანი ორი ქულა დავკარგეთ. გუნდმა ნამდვილად ვერ ითამაშა კარგად და ჩემი უკმაყოფილებაც სწორედ აქედან მოდის. აუცილებლად უნდა მოგვეგო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელით. „იუვენტუსი“ ჯგუფიდან გასასვლელად ძალას არ დაიშურებს, თუმცა ვიყოთ ობიექტურნი — წინ ორი უმძიმესი შეხვედრა გველის, რომლებიც აუცილებლად ჩვენს სასარგებლოდ უნდა დავასრულოთ — განაცხადა იტალიის ჩემპიონთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

ტურინელებს ეს თამაში, თუ ჯგუფიდან გასვლა სურთ, მართლაც უნდა მოეგოთ, მაგრამ ვერ შეძლეს. ფრემ, სტამბოლში დაფიქსირებული შედეგის გათვალისწინებით, „იუვენტუსის“ სამეოთხედფინალო შანსები შეამცირა, თუმც არ ამოწურა. 25 ნოემბერს თურქეთის უდიდეს ქალაქში „გალათასარაის“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება.

— დასანანია, გამარჯვება ჩვენივე შეცდომის გამო რომ გავუშვით ხელიდან, თუმცა შედეგით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მიუხედავად ჯგუფში ბოლო ადგილზე ყოფნისა, შემდეგ წრეში გასვლის შანსებს ვინარჩუნებთ. მეოთხედფინალში მოხვედრა „ატლეტიკისთვის“ უდავოდ დიდი წარმატება იქნება — განაცხადა ბილბაოელთა თავკაცმა, ლუის ფერნანდესმა.

ევროპის 1984 წლის ჩემპიონმა ზემოთ შეცდომის გამო დაკარგული გამარჯვება ახსენა, რაშიც მან მონტეროს გოლი იგულისხმა — ალესანდრო დელ პიეროს ერთ-ერთ მორიგ თავდასხმას კუთხური მოჰყვა. ჩაწოდებულს მონტერო შესწვდა თავით და კარში გადაგზავნა. ბურთის მოგერიება ლასას შეეძლო, მაგრამ მან ფილიპო ინძაგისთან ორთაბრძოლისას კარში მიმავალ ბურთს ფეხი ააცილა. გოლიც გავიდა.

სხვაობა 68-ე წუთზე აღმოიფხვრა. დარჩენილ დროში მასპინძლებსაც და სტუმრებსაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ დავიდსს იმანოლ ეჩებერიამ აუღო, თავის მხრივ შესანიშნავად ითამაშა ანჯელო პერუციმაც. სხვათა შორის, ბოლო ხუთი წუთი ბასკები ათნი დარჩნენ — მსაჯმა ლაკრუსი ზიდანთან უხეშობის გამო მეორედ გააფრთხილა, შესაბამისად გააგდო კიდეც.

სტამბულში „გალათასარაიმ“ ტრონჰეიმელებს ორი კვირის წინანდელი წყენა არ აპატია. თავისთავად 3:0 მოგება მეტოქესთან მოპოვებულ უპირატესობაზე მეტყველებს, მაგრამ თურქებს კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა. ორი ბურთის ავტორმა ჰაქან შუქურმა თქვა, მწამს, ჯგუფიდან გასვლა გვიწერიაო.

მეხუთე ტურში, ალბათ, ბევრი რამ გაირკვევა. არაა გამორიცხული, იტალიელთა ჩემპიონის შესანიშნავი, ოთხწლიანი სვლა ჩემპიონთა ლიგაში სტამბოლში დასრულდეს. „რუსენბორგი“ კი ბასკთა ძლევას შეეცდება.

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გალათასარაი | ⚽ | 3:0 | 25.11 | 2:1 | 7:6 | 7 |
| 2 | რუსენბორგი | 3:0 | ⚽ | 1:1 | 25.11 | 5:5 | 5 |
| 3 | იუვენტუსი | 2:2 | 09.12 | ⚽ | 1:1 | 4:4 | 4 |
| 4 | ატლეტიკი | 09.12 | 1:1 | 0:0 | ⚽ | 3:4 | 3 |

## C ჯგუფი

### სპარტაკი 1:1 ინტერი

1:0 ტიხონოვი (68), 1:1 სიმეონე (89)
სპარტაკი: ფილიმონოვი, ბუშმანოვი, ციმბალარი, ანანკო, ბარანოვი (მელეშინი 63), ტიტოვი, ტიხონოვი, ბუზნიკინი (პისარევი 45), რომაშჩენკო, პარფიონოვი, რობსონი
ინტერი: პალიუკა, ბერგომი (პირლო 75), კოლონეზე, ძანეტი, გალანტე, რონალდო (ვენტოლა 65), სიმეონე, კოე, მორეირო (სილვესტრი 90), სამორანო, სოუზა

### შტურმი 1:5 რეალი

1:0 ჰაასი (4), 1:1 პანუჩი (7), 1:2 მიატოვიჩი (35), 1:3 ზეედორფი (57), 1:4 პანუჩი (61), 1:5 შუკერი (74)
შტურმი: სიდორჩუკი, ფოდა, ნიუკირხნერი, მილანიჩი, რაინმაიერი (კოსიანი 71), შუპი, პოში, ვასტიჩი, ჰაასი (მარტენსი 75), მინავანდი, პოპოვიჩი (ბაბალადე 71)
რეალი: ილგნერი, პანუჩი (კარემბე 77), სანჩისი, იერო, რობერტო კარლოსი, რედონდო, ზეედორფი (გუტი 71), იარნი, რაული, მიატოვიჩი, სავიო (შუკერი 62)

REUTERS ტურინიდან

როცა მოსკოვში შეხვედრა დასრულდა, მსოფლიოს უდიდესმა ბუქმეიქერმა, ინგლისელმა უილიამ ჰილმა საფეხბურთო სამყაროს და აზარტულ ხალხს ამცნო თავისი ახალი ფსონები, რომელთა თანახმადაც, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების ყველაზე რეალურ კანდიდატად მილანის „ინტერია“ მიჩნეული. ძნელია, ჰილს დაეთანხმო, მით უმეტეს, გუშინწინდელი დღის შემდეგ.

70 ათასი ქომაგი შეიყარა „ლუჟნიკებზე“, რათა წლეულს მეორედ ედევნებინა თვალი „სპარტაკისა“ და „ინტერის“ დაპირისპირებისთვის. პირველად ეს გაზაფხულზე მოხდა, უეფას თასის ნახევარფინალში. მაშინ სტუმრებმა 2:1 მოიგეს, ისევე, როგორც მილანში ჩატარებულ ორივე მატჩში.

წინა სამი შეხვედრის მსგავსად, უპირატესობას კვლავ რუსები ფლობდნენ, რომლებიც შედარებით გუნდურად ბურთაობენ. რაც შეეხება „ინტერს“, ერთადერთი, რითაც ეს გუნდი ბოლო ხანებში მეტ-ნაკლებად წარმატებებს აღწევს, უმაღლესი კლასის ფეხბურთელთა ინდივიდუალური გარჯაა. ასე იყო ოთხშაბათსაც — „სპარტაკი“ კომბინაციებს ათამაშებდა, მწვავედაც უტევდა, მაგრამ გოლი ვერ გაჰქონდა. მილანელები კი, რომლებსაც ჯიჯი სიმონი გინდ ჰყოლიათ სათავეში და გინდ არა, უმეტესად დაცვაზე ფიქრობდნენ და დროდადრო უხეირო კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ. ვერა და ვერ დაიბრუნა ფორმა შესუქებულმა რონალდომ და თუ იტალიის ჩემპიონატში იგი რაღაცას აკეთებს, მოსკოვის ტრადიციულად ატალახებულ მინდორზე „ინტერის“ აქციების პაკეტის ახალგამომცხვარმა მფლობელმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. ამადაც იყო, მეორე ტაიმში იგი ვენტოლათი რომ შეცვალეს. ნიკოლას მოედანზე გასვლა და ტიხონოვის უძლიერესი დარტყმულის შემდეგ გატანილი გოლი ერთი იყო. „სპარტაკი“ დაწინაურდა და მოუთმენლად დაუწყო მსაჯის საფინალო სასტვენს ლოდინი. ჰოდა, დაისაჯა კიდეც — 90-ს ერთი წუთი რომ აკლდა, არგენტინელმა დიეგო სიმეონემ ღონივრად დაჰკრა ბურთს თავი, თავისიანთა სათადარიგო სკამისკენ გაიქცა და ნერვიულობისგან გაფითრებულ ლუიჯი სიმონის გადაეხვია. შეხვედრა ასეც დასრულდა — 1:1. „სპარტაკს“ ისევ ხელი მოეცარა, მილანურმა კლუბმა კიდევ ერთხელ გაამწარა რუსები.

— ვერ გამიგია, იღბალი რას გვერჩის. ბედმა შეიძლება ერთხელ და ორჯერ გიღალატოს, მაგრამ ყოველთვის? მსაჯობითაც უკმაყოფილო ვარ, არბიტრმა ჩვენს კარში გასული გოლი თითიდან გამოწოვა — ოლეგ რომანცევის აღშფოთება გასაგებია, მაგრამ მსაჯთან რა პრეტენზია ჰქონდა, არავინ იცის.

— „სპარტაკი“ ჩვენთვის ყოველთვის ურთულესი მეტოქე იყო და ამიტომ დღევანდელ შედეგს წარმატებულად ვთვლი. ახლა ჩვენი ჯგუფიდან გასვლის შანსი კვლავ სამ გუნდს აქვს, თუმცა მოსკოველები „რეალს“ მადრიდში ხვდებიან, ჩვენ კი შინ, მილანში — ამბობდა სიმონი და რატომღაც ილიმებოდა. ეტყობა, ძალიან უხაროდა რუსეთის დედაქალაქიდან ქულის წაღება, რამდენიმე დღის „ინტერის“ პრეზიდენტმა მორატიმ ხომ გააფრთხილა, შენი ბედი ამ კვირაში გადაწყდებაო.

რაც შეეხება C ჯგუფის მეორე შეხვედრას „შტურმსა“ და „რეალს“ შორის, გუშინწინ იგი გადაიდო — ავსტრიაში გადაუღებლად წვიმდა. „არნოლდ შვარცენეგერზე“ მისულმა შვედმა არბიტრმა კარლ-ერიკ ნილსონმა და უეფას დელეგატმა წყლით გაჟღენთილ მინდორზე ფეხბურთის თამაში შეუძლებლად ჩათვალეს, რაზეც საზოგადოებას მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ამცნეს. ამის თაობაზე „შტურმის“ პრეზიდენტმა ჰანს კარტინგმა ეს განაცხადა.

— პირველ ყოვლისა, ბოდიშს ვუხდი სტადიონზე მოსულ გულშემატკივრებს. ყველანაირად ვეცადე, ეს შეხვედრა გამართულიყო, მაგრამ მსაჯმა უარი განაცხადა. როდესაც თავად ვნახე, რა დღეში იყო მინდორი, მივხვდი — იგი მართალი იყო.

მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებმა, რომლებიც ოთხშაბათსვე გეგმავდნენ ესპანეთში დაბრუნებას, თანაც სამი ქულით, ახალ სასტუმროში გადაინაცვლეს, ხოლო კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მანუელ ფერნანდესმა აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება სწორი იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობსო.

ოთხშაბათს არა, მაგრამ გუშინ ეს შეხვედრა მაინც გაიმართა — წვიმა შეწყდა და მზემ გამოანათა. მატჩი მადრიდულის ზუსტი ასლი რომ ყოფილიყო, „რეალის“ ფეხბურთელებს ერთი ბურთის გატანა დააკლდათ. ისე, ამ თამაშშიც ანგარიში ავსტრიელებმა გახსნეს — მე-4 წუთზე ჰაასის თავურთან ილგნერმა ვერაფერი გააწყო. თუმცა, ამის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებულებმა ინიციატივა სრულად იგდეს ხელთ და ცნობილი კულტურისტის და მსახიობის სახელობის სტადიონზე ქვა ქვაზე არ დატოვეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იტალიელმა მცველმა კრისტიან პანუჩიმ, რომელმაც ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი მასპინძლებს მეოთხე გოლიც გაუტანა. ექსმილანელის გოლებს შორის მიატოვიჩმა და ზეედორფმა დალაშქრეს მეტოქის კარი, ხოლო შეხვედრას წერტილი შეცვლაზე შესულმა დავორ შუკერმა დაუსვა. ასე, ავსტრიელთათვის სრული კრახით დასრულდა სახელოვან მეტოქესთან ორრაუნდიანი პაექრობა. „სამეფო კლუბი“ კი ამ გამარჯვებით ჯგუფს 9 ქულით მოექცა სათავეში.

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | ⚽ | 09.12 | 2:0 | 6:1 | 14:4 | 9 |
| 2 | სპარტაკი | 2:1 | ⚽ | 1:1 | 25.11 | 6:4 | 7 |
| 3 | ინტერი | 25.11 | 2:1 | ⚽ | 1:0 | 4:4 | 7 |
| 4 | შტურმი | 1:5 | 0:2 | 09.12 | ⚽ | 2:15 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## D ჯგუფი

### მანჩესტერი 5:0 ბრონდბიუ

1:0 ბექემი (6), 2:0 კოული (12), 3:0 ფ. ნევილი (16), 4:0 იორკი (28), 5:0 სქოულზი (62)

მანჩესტერი: შმაიხელი, ფ. ნევილი (ბრაუნი 32), გ. ნევილი, სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი, ბლომკვისტი (კრუიფი 5), კოული (სოლსკიაერი 55), იორკი

ბრონდბიუ: ანდერსენი, ბიური (კროგი 74), ნილსენი, რავნი, იენსენი, დუგაარდი, კოლდინგი, ბაგერი (ტიგესენი 67), სკარბალიუსი, რასმუსენი, სანდი (ჰანსენი 77)

### ბარსელონა 1:2 ბაიერნი

1:0 ჯოვანი (28პ), 1:1 ციკლერი (47), 1:2 სალიჰამიჯიჩი (86)

ბარსელონა: ჰესპი, აბელარდო, სელადესი, ხავი, ოკუნოვო, კოკუ, ფიგუ, სერხი, რივალდო, ჯოვანი, ანდერსონი

ბაიერნი: კანი, ბაბელი, ლისარასუ, კუფური, მატეუსი, ფინკი, ტარნატი (შტრუნცი 74), ელბერი, ეფენბერგი, ბასლერი (ალი დაეი 64), ცილკერი (სალიჰამიჯიჩი 64)



ბარსელონა — ბაიერნი. კატალონიელებს ვერც სონი ანდერსონის ეფექტურმა მაკრატელამ უშველა

— ეს ყველაზე მტკივნეული დღე იყო ჩემთვის ბარსელონაში ჩამოსვლის შემდეგ. შედეგმა მეც და გულშემატკივრებსაც საშინლად დაგვწყვიტა გული. მეორე გოლი დაცვის უხეში შეცდომის გამო გავუშვით. მაგრამ მაინც, ვფიქრობ, დღეს ურიგოდ არ გვითამაშია და დამარცხებას ნაღდად არ ვიმსახურებდით — ლუის ვან გაალის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა.

მართლაც დასანანი მარცხი იწვნიეს კატალონიელებმა. „კამპ ნოუს“ გასახდელში მიმავალი თავდახრილი ბარსელონელების ყურება ერთი საცოდაობა იყო, მაგრამ სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ — ოთხშაბათის მატჩში, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, გერმანელებმა მასპინძლებს აშკარად აჯობეს.

საერთოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა ძალიან დაძაბული, ლამაზი, იმ დღეს ალბათ საუკეთესო გამოდგა. ტერიტორიულ უპირატესობას მთლიანად ესპანელები ფლობდნენ. მათ პირველი ტაიმის დებიუტში რამდენიმე მწვავე შეტევა შექმნეს, ჯოვანიმ გოლიც გაიტანა, რომელიც პიერლუიჯი კოლინამ რატომღაც არ ჩათვალა. ამას იტალიელი არბიტრის კიდევ ერთი მცდარი გადაწყვეტილება მოჰყვა, ამჯერად მასპინძელთა სასარგებლოდ — დაინიშნა აბსურდული პენალტი და იმავე ჯოვანიმ იგი გოლად აქცია. პირველი ტაიმის დარჩენილი ნაწილი იგივე სცენარით განვითარდა, ოღონდ გერმანელებიც შეხურდნენ და კონტრშეტევების აგებაც დაიწყეს. ერთ-ერთი მათგანი კინაღამ გოლით დასრულდა — ჰესპთან მარტოდ დარჩენილმა ელბერმა ვერ ივარგა.

აი, მეორე ტაიმი კი თავისუფლად შეიძლება, ოტმარ ჰიცფელდის შედევრად მივიჩნიოთ. მატჩის განახლებიდან ორ წუთში ალექსანდრ ციკლერმა რუდ ჰესპი შეარცხვინა — ბურთი ფეხებს შორის გაუტარა — 1:1. ეგ იყო და „ბაიერნი“ „კამპ ნოუს“ მინდორზე რასაც უნდოდა იმას აკეთებდა. „ბარსელონას“ კი ჰქონდა კვლავ ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ ეს უკვე შეგნებულად დათმობილი ინიციატივა იყო — ესპანელებმა უკანმოუხედავად შეუტიეს, ზურგი მოიშიშვლეს და სტუმრებმაც უმალ ისარგებლეს ამით. გერმანელთა უამრავი კონტრშეტევიდან ორი, ნაღდად ასპროცენტიანი იყო, მაგრამ ჯერ იმავე ელბერმა ააცილა ცარიელ კარს, შემდეგ კი ციკლერმა გააცუდა მშვენიერი შანსი. ეს უკანასკნელი, ვინც საუკეთესო იყო სტუმართა რიგებში, ჰიცფელდმა იმავ წუთს გამოცვალა და მის მაგივრად მოედანზე სალიჰამიჯიჩი შეუშვა. ალბათ, გახსოვთ, შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გოლი ვინც გაიტანა. ჰოდა, სწორედ ეს არის გერმანელთა თავკაცის სიბრძნის დამამტკიცებელი — მან პირადად მოუგო „ბარსელონას“.

— მასპინძლებს დაცვაში უამრავი ხარვეზი ჰქონდათ, ამიტომაც წააგეს. ჩვენ სულ ცოტა, 4-5 მომენტი გავაცუდეთ, მაგრამ, რაც მთავარია, მოვიგეთ და სამი ქულა ავიღეთ, რომლებიც ჰაერივით გვჭირდებოდა — ჰიცფელდი, ბუნებრივია, კმაყოფილი იყო.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ბრონდბიუს“ ისეთი დღე აყარა, არაა გამორიცხული, დანიამ ინგლისს ომი გამოუცხადოს. ფერგიუსონის ბიჭებმა ჯერ სტუმრად „გადაურბინეს“ ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში „ბაიერნის“ მძლეველებს, გუშინწინ კი შინ, მშობლიურ „ოლდ ტრეფორდზე“ „გამოიჭირეს“ და არც იქ დააკლეს. ამ მატჩის აღწერისგან შეგნებულად შევიკავებთ თავს, ყველაფერზე ანგარიში მეტყველებს, მხოლოდ სტუმარ-მასპინძლის მატჩისშემდგომ ნაუბარს გაგაცნობთ.

— ჯერ ადრეა ჩვენი ჯგუფიდან გასვლაზე საუბარი. წინ „ბაიერნთან“ და „ბარსელონასთან“ გვაქვს უმძიმესი ბრძოლები. საერთოდ, როდესაც ამ გუნდების შეხვედრის ანგარიში გავიგე, გავოცდი. ესპანელთა დამარცხებას ნამდვილად არ ველოდი — ფრთხილობდა ფერგიუსონი.

აი, „ბრონდბიუს“ თავკაც ებე სკოვდალს თავის გუნდზე და მის პერსპექტივებზე ბევრი არაფერი ჰქონდა სათქმელი. ისიც ადგა და „მანჩესტერზე“ ისაუბრა.

— ტურნირის უდავო ფავორიტი ჩვენი დღევანდელი მეტოქეა. მართალია, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ ინგლისელებს უდიდესი პოტენციალი გააჩნიათ და ამასთან ერთად თუ თამაში წაუვიდათ, მათი შეჩერება ფაქტობრივად შეუძლებელია.

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | ⚽ | 09.12 | 3:3 | 5:0 | 16:7 | 8 |
| 2 | ბაიერნი | 2:2 | ⚽ | 1:0 | 25.11 | 6:5 | 7 |
| 3 | ბარსელონა | 25.11 | 1:2 | ⚽ | 2:0 | 6:6 | 4 |
| 4 | ბრონდბიუ | 2:6 | 2:1 | 09.12 | ⚽ | 4:14 | 3 |

## E ჯგუფი

### დინამო 3:1 არსენალი

1:0 რებროვი (27პ), 2:0 გოლოვკო (62), 3:0 შევჩენკო (72), 3:1 ჰიუზი (83)

დინამო: შოვკოვსკი, დმიტრულინი, გოლოვკო, ლუჟნი, ვაშჩუკი, კოსოვსკი, ბელკევიჩი (კალიტვინცევი 89), კარდაში, გუსინი, შევჩენკო, რებროვი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ბოულდი (გრიმანდი 46), კიოუნი, უინთერბერნი, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ვივასი (გარდე 85), ბოა მორტე (ჰიუზი 70), ვრე

### პანათინაიკოსი 1:0 ლანსი

1:0 ვოკოლოსი (52)

პანათინაიკოსი: ვანძიკი, აპოსტოლაკისი, მილოევიჩი, ასანოვიჩი, გუმასი, ვარჟიხა (მაურო 85), ლაგონიკაკისი, ვოკოლოსი, ბასინასი, კონსტანტინიდისი, ლიბეროპულოსი

ლანსი: ვარმუჟი, სიკორა, მანიე, რული, დებევე, დალმა, ნიარკო, ვერლე, დეუნუმა (ელოი 70), მერიდე

ოთხშაბათ საღამოს კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე შეკრებილმა 65 ათასმა ქომაგმა მეტად ისიამოვნა. სხვანაირად ვერც იქნებოდა, მათმა საყვარელმა „დინამომ“ ხომ ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი გაუშვა შინ შერცხვენილი. მართალია, გასულ სეზონში კიეველებმა ამგვარი საგმირო საქმეები საკმაოდ ჩაიდინეს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშება სუსტად დაიწყეს და ამიტომაც იყო ლონდონელთა დამარცხება მათთვის ორმაგად სასიხარულო.

„დინამომ“ დიდებულად იბურთავა. მის თამაშს ყველაზე მეტად ეს სახელი მოუხდება — გუნდური. თერთმეტი ერთ მუშტად შეკრული ფეხბურთელი დაუხვდა ვარსკვლავებით გადაჭედილ „არსენალს“ და ღირსეულად, ძალიან ლამაზად გაიმარჯვა.

ანგარიში ლონდონში მატჩის მიწურულს საპასუხო გოლის გამტანმა სერგეი რებროვმა გახსნა. გახსნა თერთმეტმეტრიანიდან, რომელიც 27-ე წუთზე მისივე წაქცევისთვის დაინიშნა — კიოუნმა იუხეშა. ამას მეორე ტაიმში ჯერ გოლოვკოს თავურით გატანილი მოჰყვა, ათ წუთში კი ანდრეი შევჩენკომ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა — 3:0. მინდვრის მოთამაშეთა დარად, შესანიშნავად ირჯებოდა მასპინძელთა ახალგაზრდა კარის დარაჯი ალექსანდრ შოვკოვსკი. მან რამდენიმე „მკვდარი“ ბურთი აიღო, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე სტეფან ჰიუზის დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა და მეტოქეს პრესტიჟის გოლი გაატანინა. თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონია — „დინამომ“ მეტად საჭირო სამი ქულა ჩაიჯიბა და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა.

— ჩვენ ვიცოდით, ანელკას, ბერხკამპისა და ოვერმარსის გარეშე კიევში ძალიან რომ გაგვიჭირდებოდა. ასეც მოხდა, მეტოქემ დიდი ალმაფრენით ითამაშა და უშანსოდ დაგვტოვა. სანამ პენალტი დაინიშნებოდა, გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ ვერ ვიხეირეთ. თუმცა ამაზე ლაპარაკი ახლა გვიან არის — არსენ ვენგერს სათქმელი მართლაც არაფერი ჰქონდა.

ვალერი ლობანოვსკის თანაშემწემ ალექსეი მიხაილიჩენკომ კი განაცხადა, დღეს წლევანდელ სეზონში საუკეთესო მატჩი ჩავატარეთო.

„დინამო“ რომ „არსენალს“ ანადგურებდა, იმ დროს ათენში „პანათინაიკოსი“ საფრანგეთის ჩემპიონს ეპაექრებოდა. შეხვედრა ვერ გამოდგა საინტერესო და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, მისი ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა — 52-ე წუთზე მასპინძელთა ნახევარმცველის ლეონიდას ვოკოლოსის დარტყმულმა ბერძნებს გამარჯვება მოუტანა.

— სამწუხაროა, როდესაც თამაშში ერთი გოლი გადის და ისიც შენს კარში. „პანათინაიკოსმა“ დამსახურებულად იმარჯვა და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები შეგვიმცირა. თუმცა ფარ-ხმალის დაყრას ნაღდად არ ვაპირებთ, ჯგუფიდან გასვლა ჯერ კიდევ შეგვიძლია — აღნიშნა მატჩის შემდეგ დანიელ ლეკლერკმა, ფრანგთა დამრიგებელმა.

— უმძიმესი შეხვედრა გამოდგა და მიხარია, რომ იგი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა. დღეს მოპოვებულმა სამმა ქულამ მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადაგვადგმევინა — ეს სიტყვები კი „ლანსის“ მოწინააღმდეგის თავკაცს ვასილის დანილს ეკუთვნის.



დინამო — არსენალი. შევჩენკომ ბევრიც იბრძოლა და პეტის (№17) „არსენალს“ ლამაზი გოლიც გაუტანა

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | ⚽ | 2:1 | 1:0 | 09.12 | 4:4 | 6 |
| 2 | დინამო | 25.11 | ⚽ | 1:1 | 3:1 | 6:5 | 5 |
| 3 | ლანსი | 1:0 | 09.12 | ⚽ | 1:1 | 3:3 | 5 |
| 4 | არსენალი | 2:1 | 1:1 | 25.11 | ⚽ | 5:6 | 5 |

## F ჯგუფი

### ბენფიკა 2:2 ჰიკ

0:1 მინტო (ნ.კ.), 1:1 ნუნუ გომეში (78), 2:1 სალადო (81), 2:2 ლუის ანტონიო (84)

ბენფიკა: პრიუდომი, ანდრადე (პორფირიო 46), გუიარო, მადეირა, მინტო, სალადო, ლეალი, პემბრიჯი, პობორსკი (პრინგლი 83), ჟოაო პინტუ, ნუნუ გომეში

ჰიკ: კოივისტოინენი, ტიინენი, საასტამოინენი, ნილანდი, კანერვა, რიილახტი, ილოლა, ლეკოსუო, პირასაია (ფორსელი 60), კოტილა (ლუის ანტონიო 84), კუკი (კოფტეფი 85)

### კაიზერსლაუტერნი 3:1 ეინდჰოვენი

0:1 ვან ნისტელროოი (18), 1:1 რიშე (68), 2:1 რაიხი (77), 3:1 ხრისტოვი (90)

ლაუტერნი: რინკე, ბალაკი, კოხი (რაიხი 34), სამირი, როოსი, ხრისტოვი, სფორცა, რიდლი, ბაკი (ჟუნიორი 68), მარშალი, როსლერი (რიშე 46)

ეინდჰოვენი: ლოდევაიკსი, ნიკიფოროვი, ოიენი, შავიერი, სკერლა, ვან დერ ვერდენი (დოს სანტოსი 60), ივანი, ხოხლოვი, ვან დერ დოლენი (რომედალი 75), ვან ნისტელროოი, ნილისი (ნიდი 26)

ყველაფერი „ეინდჰოვენის“ მეკარის გაძევებამ გადაწყვიტა. პირველ წუთებში სტუმრები საკმაოდ კარგად თამაშობდნენ, თუმცა შემდეგ ინგლისელმა მსაჯმა დევიდ ელერეიმ ლოდევაიკსს უვე როსლერთან უხეშობა არ აპატია და მეკარეს მინდორი დაატოვებინა. 26-ე წუთზე „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი თავდამსხმელი როსლერი ჰოლანდიელთა კარისკენ გაიჭრა, თუმცა რეიდი ლოდევაიკსთან შეტაკებით დასრულდა — მეკარემ წააქცია. ელერეიმაც დამნაშავე გააგდო.

— რა თქმა უნდა, მეკარის გაძევება ჩვენთვის კარგი გახლდათ და გამარჯვებაში არცთუ უკანასკნელი როლი ითამაშა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავად „კაიზერსლაუტერნმა“ ითამაშა კარგად. გუნდს ძალიან უნდოდა გამარჯვება და სურვილი აისრულა კიდეც — ეს გერმანიის ჩემპიონთა მწვრთნელის, ოტო რეჰაგელის სიტყვებია.



ლაუტერნი — ეინდჰოვენი. მარკო რაიხის ამ დარტყმულის შემდეგ ბურთი სტუმართა კარში აღმოჩნდა

თავდაპირველად ჰოლანდიელები დაწინაურდნენ. ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში როტერდამის „სპარტასთან“ სამი გოლის გამტანმა რუუდ ვან ნისტელროოიმ კრის ვან დერ ვერდენის პასი შეიშნო და ანდრეას რინკეს ქვეშ გაუძვრინა ბურთი. ბობი რობსონის ბიჭები დაწინაურდნენ.

შეხვედრა მაინც გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა. კაცნაკლული მეტოქე „კაიზერსლაუტერნს“ ბოლომდე ებრძოდა, მაგრამ რადგან მასპინძლებს ერთი ფეხბურთელი მუდამ თავისუფალი ჰყავდათ, ეინდჰოვენელთა კართან ხიფათი უფრო ხშირად იქმნებოდა. წონასწორობა 68-ე წუთზე აღსდგა. მაშინ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ჟუნიორმა მაღალი ბურთი ჩაჰკიდა, შეცვლაზე შესულმა რიშემ კი გააყაიმა. შემდეგ კიდევ ორი გოლი გავიდა — 3:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

— კარგად დავიწყეთ, გოლიც გავიტანეთ, მაგრამ მსაჯის შეცდომამ დაგვღუპა. ლოდევაიკსი გასაგდები ნამდვილად არ იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა — „ეინდჰოვენის“ თავკაცმა ბობი რობსონმა თანამემამულე მსაჯის, ინგლისელი დევიდ ელერეის გადაწყვეტილებას მცდარი უწოდა.

ერთი სიტყვით, „კაიზერსლაუტერნმა“ მორიგი მატჩი მოიგო და ახლა დაუმარცხებლად ლიდერობს ჯგუფს. მეორე ადგილზე მყოფი ფინური ჰიკი მას ხუთი ქულით ჩამორჩება.

ბოლომდე ბრძოლა ჩვენს წარმოდგენაში აქამდე მხოლოდ გერმანელებთან ასოცირდებოდა, თუმცა ისეთი საფეხბურთო წარსულის მქონე ქვეყნის შვილებმაც, როგორიც ფინეთია, სავსებით ნათლად დაგვანახეს, რომ ნორმალური თამაში, ყოველგვარი შიშის გარეშე, ყველასთან შეიძლება.

ათი წლის წინ ჰიკის მიერ „ბენფიკას“ დამარცხება, ალბათ, ათწლეულის სენსაცია იქნებოდა. დღეს კი ეს აღარავის უკვირს — ფეხბურთის თამაში, ისე როგორც ბევრმა სხვა, ეგრეთ წოდებულმა ჩამორჩენილმა საფეხბურთო ქვეყნებმა, ფინეთმაც ისწავლა. სკანდინაველებმა, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის მიწურულს რამდენიმე წუთში ორი გოლი გაუშვეს და ლიდერიდან მდევრად იქცნენ, შეძლეს საკუთარ თავში ძალების გამონახვა და პორტუგალიელი მეტოქის დამწუხრება. ფრე 2:2, ალბათ, ფინელთათვის უფრო მისაღები გახლდათ, ვიდრე „ბენფიკასთვის“.

— სამწუხაროა ასეთი უშედეგობა, მაგრამ ასეა, რა ვქნათ. ეტყობა, გუნდს დღესდღეობით მეტი არ შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტოქეს დავამარცხებდით — განაცხადა შეწუხებულმა გრემ სუნესმა, „ბენფიკას“ შოტლანდიელმა მწვრთნელმა.

ეტყობა, პორტუგალიელთათვის, ისევე როგორც ფინელთათვის, პირველი, მეორე და ასე შემდეგ გოლების ფაქტორი არ არსებობს.

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაუტერნი | ⚽ | 09.12 | 1:0 | 3:1 | 6:2 | 10 |
| 2 | ჰიკ | 0:0 | ⚽ | 2:0 | 25.11 | 5:4 | 5 |
| 3 | ბენფიკა | 25.11 | 2:2 | ⚽ | 2:1 | 4:6 | 4 |
| 4 | ეინდჰოვენი | 1:2 | 2:1 | 09.12 | ⚽ | 5:8 | 3 |

# იქიდან აქეთ




სტეფან გივარშის ჯერჯერობით ბოლო მატჩი ნაკრებში — მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი

მსოფლიოს ჩემპიონი სტეფან გივარში „ნიუკასლ იუნაიტედს" ტოვებს. გუშინ ფრანგი თავდამსხმელი და მისი აგენტი გლაზგოს გაფრინდნენ, სადაც მოთამაშის შოტლანდიის ყველაზე ტიტულოვან კლუბ „გლაზგო რეინჯერსში" ტრანსფერის შესაძლებლობას განიხილავენ.

— გუნდები ტრანსფერის თაობაზე უკვე შეთანხმდნენ. ალბათ, უახლეს დღეებში სადაო საკითხებსაც მოაგვარებენ. „გლაზგო რეინჯერსი" მზადაა, გივარშის სანაცვლოდ 5,8 მილიონი დოლარი გადაიხადოს — განუცხადა ლორან კოლერმა, გივარშის აგენტმა ფრანგულ „ეკიპს". თუ გარიგება შედგა, გივარში „გლაზგო რეინჯერსის" მეორე ფრანგი ლეგიონერი იქნება მეკარე ლიონელ შარბონიეს შემდეგ.

მსოფლიოს ჩემპიონატის დასასრულს სტეფან გივარში „ოსერიდან" „ნიუკასლში" გადავიდა და იმედოვნებდა, რომ პრემიერლიგის გუნდში ხეირიანად ათამაშდებოდა. გივარშის ინგლისური „ეპოპეა" თავდაპირველად კარგად დაიწყო, კლუბის შოტლანდიელი თავკაცი კენი დალგლიში მას ძირითადში ადგილს ანდობდა, მაგრამ მოგვიანებით დალგლიში გულიტმა შეცვალა, გივარშსაც სათადარიგოთა შორის გადაჯდომა მოუწია. მსოფლიოს ჩემპიონისთვის ეს დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა იყო.

სექტემბრის დასაწყისში გივარშმა კლუბის დატოვების სურვილი გამოთქვა. თუმცა მაშინ სიტყვა საქმედ არ ქცეულა. ახლა კი, როგორც ჩანს, ბოლო ორი სეზონის მანძილზე საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს „ნიუკასლში" ძალიან გაუჭირდა.

გივარშის უთამაშებლობამ მის სანაკრებო კარიერაზეც დიდი გავლენა იქონია. ბოლოს ქვეყნის პირველ გუნდში მან ბრაზილიელებთან 3:0 მოგებულ მატჩში ითამაშა, მას შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატის სამი შესარჩევი შეხვედრა და ერთი ამხანაგური თამაში გამოტოვა. ჟაკეს შემცვლელმა როჟე ლემერმა გივარშის ნაკრებში გამოძახება საჭიროდ არ ჩათვალა.

ეგებ სტეფანს გლაზგოში გაუმართლოს.

ირაკლი ილაშვილი

# გიჟი თავისუფალია!

ადრე გაზა იქცეოდა ასე — მოედანზე სულ ჩხუბობდა, სულ შარზე იყო. ახლა კი მისი ძმაკაცი პოლ ინსი გადაირია და უეფას სადისციპლინო კომისიებსა თუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წევრებში დღენიადაგ მასზეა საუბარი.

ჯერ იყო და შვედეთში, სტოკჰოლმში ვერ მოთოკა ემოციები. ინგლისელები აგებდნენ და ინსიც ანერვიულდა, ეს რას გვიბედავენ ოხერი სკანდინაველებიო. ჰოდა, ადგა და უხეშობა დაიწყო, რისთვისაც ცნობილმა არბიტრმა, იტალიელმა პიერლუიჯი კოლინამ შესაფერისი ფერის ბარათიც აუფრიალა. ამან სულ გააგიჟა და მორიგი პროტესტი უკვე ლანძღვა-გინებით გამოხატა, რომლის უმთავრესი ადრესატიც სწორედ კოლინა იყო. შედეგად ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოში ამ საკითხზე იმსჯელეს და გიჟმაჟ ზანგს ასეთი განაჩენი გამოუტანეს — სამი თამაშით დისკვალიფიკაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ინსი ინგლისის ნაკრების ღირსებას მომავალი წლის 5 ივნისამდე ველარ დაიცავს, ამ დღეს კი ბრიტანელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ მატჩში იმავე შვედებს უმასპინძლებენ.

მერე პრემიერლიგური ბურთაობა იყო. „ენფილდზე" „ლივერპული" „ჩელსის" ეთამაშებოდა. ინსმაც მთელი 90 წუთი ითმინა, მინდორზე ცუდი არაფერი ჩაუდენია, მაგრამ მსაჯმა რომ საფინალო სასტვენი მისცა და ფეხბურთელები გასახდელში გაისტუმრა, მაშინ მოთმინების ფიალა აევსო, რაზე, დღემდე არავინ იცის.

აევსო და გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში თავის თანაგუნდელს ინგლისის ნაკრებში, იმ დღეს კი მეტოქე გრემ ლე სოს უხეშად წაელაპარაკა. როგორც შემდგომში გაირკვა, ლე სოც არ აღმოჩნდა ნაკლები ძველი ბიჭი და გაიმართა საქმის გარჩევა, რომელიც სულ მალე მუშტებისა და წიხლების ქნევაში გადაიზარდა. კიდევ კარგი, იქვე სხვა ფეხბურთელებიც იმყოფებოდნენ, თორემ ერთ-ერთი მათგანი მაშინ შხაპს ნაღდად ვერ მიიღებდა.

„ლივერპულის" კაპიტანი ამ საქციელისთვის სასჯელს გადაურჩა. უეფას წარმომადგენლებს მოჩხუბართა მეგობრები ხომ არაფერს ეტყოდნენ, ჩხუბის დროს გვირაბში მყოფმა მსაჯმაც, ალბათ, იფიქრა, ახლა რომ რამე ვთქვა, ეს გადარეული კაცი უეჭველად გამლახავსო და იუჰანსონის ხელქვეითებს არაფერი დამინახავსო, უთხრა. მეტი იმ გვირაბში არავინ იყო და ინსსაც ხახვივით შერჩა მუშტების ქნევა.

გავიდა დრო. „ბითლზის" თანაქალაქელები ვალენსიას ეწვივნენ უეფას თასის მერვედფინალში გამსვლელის ვინაობის გასარკვევად. შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად დაძაბული გამოდგა. ინსსაც ეს არ უნდოდა? მით უმეტეს, მატჩის მიწურულს მისი ძმაბიჭი სტივ მაკმანამანი ერთ-ერთ ესპანელს წაეკინკლავა და დაიწყო ერთი ვაი-უშველებელი. თავიდან თმაქოჩორა სტივი და ის ვალენსიელი არკვევდნენ ურთიერთობას. შემდეგ მათ თანაგუნდელებიც შემოეხვივნენ, მხოლოდ „ის" არ ჩანდა, ეტყობა, შორს იდგა, მაგრამ სულ მალე გაჩნდა შემთხვევის ადგილზე (ამ შანსს გაუშვებდა ხელიდან?) და ისე აქტიურად შეუდგა საქმის გარჩევას, რომ სულ რამდენიმე წამში მსაჯს ტრადიციული წითელი ბარათი გამოსტყუა. პოლიც ასევე ტრადიციულ, გასახდელისკენ მიმავალ გზას დროზე ადრე დაადგა, გზად ვილაცას, მის დაწყნარებას რომ ცდილობდა, ხელი ისე ჰკრა, საწყალი კინაღამ დაეცა და უკმაყოფილო სახით (ესეც ტრადიციად იქცა) გაუჩინარდა.

ლე სოსთან მომხდარი ინციდენტისგან განსხვავებით, ეს ამბავი, მილიონობით ტელემაყურებლის ჩათვლით, ყველამ კარგად დაინახა, და უეფაშიც კვლავ დაიქუხა ინსის სახელმა.

— საქმეს ისეთი პირი უჩანს, ინსის პრობლემა ვერასდროს გადაწყდება. იგი ათასობით იარდს გადის მხოლოდ იმისთვის, რათა მთელ ევროპას დაანახოს თავისი მერყევი ხასიათი. იგი სულ შარს ეძებს, რატომ — არავინ იცის. ამ ამბავს როგორმე ბოლო უნდა მოეღოს — ეს სიტყვები ინგლისში და არა მარტო ინგლისში პოპულარულ გაზეთ „დეილი მირორში" „ვალენსია" — „ლივერპულის" თამაშის შემდეგ დაიწერა. როგორც ხედავთ, ჟურნალისტები აღშფოთებას ვერ მალავენ შერეკილი „მერსისაიდელის" უმსგავსო საქციელით.

თუმცა, ინსს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ. კერძოდ, თავისი გუნდის წევრის ღირსება ლივერპულელთა დამრიგებელმა როი ევანსმა დაიცვა, როგორ გამოუვიდა, თავად განსაჯეთ.

— ვალენსიაში ისეთი ვერაფერი შევნიშნე, ამხელა ისტერიკის ატეხვად რომ ღირდეს. უბრალოდ, ფეხბურთელებმა წაიკამათეს, დანარჩენები კი მათ დაშოშმინებას ცდილობდნენ, მათ შორის ინსიც. ასეთი რამ ყოველ მეორე შეხვედრაში ხდება.

ასეა თუ ისე, უეფამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მის შტაბ-ბინაში, შვეიცარიაში, 12 ნოემბერს სადისციპლინო კომისიის საგანგებო სხდომა გაიმართება. ამ კომისიის ერთ-ერთი წევრის თქმით, ვალენსიაში მომხდარის შესახებ მას უამრავი ინფორმაცია გააჩნია, როგორც უეფას დელეგატებისგან, ასევე მსაჯთა კორპუსისგან მიღებული. მანვე აღნიშნა, განაჩენი უმკაცრესი იქნებაო.

ერთი კვირა მოგვიწევს ცდა, რათა გავიგოთ, თუ რა ელის 31 წლის ნახევარმცველს. მისი პოზიცია ჯერ არავინ იცის, ინსი ჟურნალისტებს არ ესაუბრება. რა იცი, იქნებ მათთან ლაპარაკმაც მოუშალოს ნერვები და შემოელახოს. არაფერია გამორიცხული. მით უმეტეს, გიჟისგან.

დავით ძოწენიძე




ჩვეული სურათი — ინსი კამათობს

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბმა „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა" მწვრთნელი მარკ მაკგი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. გუნდის თავმჯდომარის ჯონ რიჩარდსის განცხადებით, მაკგის გუნდიდან წასვლა იმ წარუმატებლობით გახლდათ გამოწვეული, მწვრთნელის ბოლოდროინდელ საქმიანობას რომ თან სდევდა — „ვულვერჰემპტონმა" ბოლო თოთხმეტი თამაშიდან მხოლოდ ორი მოიგო. მწვრთნელის და კლუბის დაშორებამ ყოველგვარი სკანდალის გარეშე ჩაიარა. „ჩვენ ვისაუბრეთ და მისი კლუბიდან წასვლა საჭიროდ ჩავთვალეთ. მარკი დაგვთანხმდა და გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან ცდილობდა, გუნდისთვის სიკეთე მოეტანა, არაფერი გამოსდიოდა" — თქვა რიჩარდსმა. ჯერჯერობით „ვულვზს" მაკგის თანაშემწე კოლინ ლი უთავკაცებს. შესაძლო ვარიანტებად განიხილებიან „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ასტონ ვილას" ყოფილი მწვრთნელი რონ ატკინსონი, ასევე ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი დევიდ პლატი. ცნობისთვის: 1960 წელს, თბილისის „დინამო" ინგლისური ტურნეს დროს „ვულვერჰემპტონ უონდერერსსაც" ეთამაშა. მატჩი ფრედ 5:5 დასრულდა.

**სომხეთის ჩემპიონის ტიტული პირველობის დასრულებამდე ტურით ადრე ერევნის „ცემენტმა" მოიპოვა. ბოლოსწინა ტურში დედაქალაქის „ცემენტმა" 3:1 დაამარცხა თანაქალაქელი „პიუნიკი" და მდევართათვის მიუწვდომელი შეიქნა. შეგახსენებთ, რომ გაზაფხულზე „ცემენტმა" ქვეყნის თასიც მოიგო, შესაბამისად, დუბლის შესრულებაც შეძლო. სომხეთის ჩემპიონატი 1992 წლიდან იმართება. შეგახსენებთ გამარჯვებულთა ვინაობას: 1992 — „შირაქი", 1993 — „არარატი", 1994 — „შირაქი", 1995-96 — „პიუნიკი", 1996-97 — „პიუნიკი", 1997 — „ერევანი".**

**ბრაზილიურ** ფეხბურთში დიდი ქაოსია. ქვეყნის ჩემპიონატის მატჩები დიდი გაჭირვებით მიმდინარეობს, არცთუ იშვიათია შეხვედრების გადადება. ერთი სიტყვით, კალენდარი არეულ-დარეულია. მატჩები ხშირად არ მთავრდება, მსაჯებს სცემენ, მაყურებლები მინდორზე გადარბიან და ასე შემდეგ, ახლა კი ყველაფერ სიკეთესთან ერთად ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა კლუბმა „ვასკუ და გამამ" განაცხადა, რომ პირველობაში მონაწილეობას აღარ მიიღებს. მიზეზი ის ყოფილა, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ, რომელიც ქვეყნის პირველობას კურირებს, „ვასკუ და გამას" რამდენიმე შეხვედრა დეკემბრის დასაწყისში გადაუტანა, მაშინ, როცა კლუბი საკონტინენტთაშორისო თასისთვის სათამაშოდ უნდა მოემზადოს. „ვილაცას რაღაცა მოეპრიანა და თამაში გადაგვიდეს. ასე არ შეიძლება. ეს უნამუსობაა. ჩვენ მავანთა დაკრულზე ცეკვას არ ვაპირებთ" — განაცხადა „ვასკუ და გამას" ვიცე-პრეზიდენტმა ეურიკო მირანდამ. ამ საკითხის მოგვარება ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირა საავადმყოფოშია — თვენახევრის წინ იგი საკუთარ რანჩოში ცხენიდან გადავარდა. რაც შეეხება გულშემატკივართათვის საინტერესო საკონტინენტთაშორისო თასს, იგი 1 დეკემბერს ტოკიოში გათამაშდება.

**რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტის არჩევნები 8 დეკემბრისთვისაა დანიშნული, მანამდე კი კანდიდატებს საშუალება ეძლევათ, კენჭისყრაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვან. პრეზიდენტობის კანდიდატურის წამოყენება 8 ნოემბრამდე შეიძლება. მოქმედმა პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა პრესის ფურცლებზე დიდი ბრძოლა გაუმართა რუსეთის პროფესიონალური საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტ ნიკოლაი ტოლსტიხს, თუმცა არც ამ უკანასკნელს დაუკლია რამე. შეგახსენებთ, რომ ტოლსტიხი ამავდროულად მოსკოვის „დინამოს" პრეზიდენტიცაა. ძირითად კანდიდატებად კოლოსკოვსა და ტოლსტიხს ასახელებენ, თუმცა არც ჰადრაკის საერთაშორისო ფედერაციის, ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის ვარიანტია გამორიცხული.**

**არგენტინის** ოლიმპიური ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი მაურისიო ტარიკო შესაძლოა ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „იფსვიჩ თაუნიდან" ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფურში" გადავიდეს. გამრჯე მცველმა ბოლო ორი სეზონის მანძილზე „იფსვიჩ თაუნის" შემადგენლობაში მხოლოდ ორი თამაში გამოტოვა. მის „ტოტენჰემში" გადასვლას ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ელოდნენ, მაგრამ მაშინ ლონდონელთა შვეიცარიელმა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა ტრანსფერი რატომღაც გააჭიანურა. ახლა კლუბები 1,75 მილიონ გირვანქაზე შეთანხმდნენ და ტარიკოც, ალბათ, გადაბარგდება „უაით ჰართ ლეინზე".

**ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბ „ტენერიფეს" მეკარე კარლოს ნავარო მონტოიამ გაფიცვა გამოაცხადა. მიზეზად სამხრეთამერიკელმა მეკარემ სათადარიგოთა შორის ყოფნა დაასახელა. „მე შევხვდი კლუბის მწვრთნელს და ვუთხარი, რომ თავს „ტენერიფეს" საუკეთესო მეკარედ ვთვლი. ახლა რას იზამს იგი, ვერ გეტყვით" — განაცხადა მონტოიამ. ამ ბოლო დროს კანარის კუნძულების გუნდის თავკაცმა ხუან ლილიომ მონტოიას მისი შემცვლელი ამჯობინა და მეკარის განრისხებაც სწორედ მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ მეკარეს კოლუმბიის ნაკრებში უთამაშია, ერთი ხანობა კი ფიფას უჩიოდა, რადგან ორგანიზაცია მას არგენტინის ნაკრებში ასპარეზობის უფლებას არ აძლევდა — კარლოს ნავარო მონტოია კოლუმბიაშია დაბადებული, თუმცა მშობლები არგენტინელები ჰყავს. სახელი მან სწორედ ბუენოს აირესის „ბოკა ხუნიორსში" თამაშით გაითქვა.**

**რუსეთის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ბორის იგნატიევმა იაროსლავის „შინიკის" გაწვრთნაზე თანხმობა განაცხადა. იგნატიევი „შინიკში" დავით ყიფიანს შეცვლის. კლუბის პრეზიდენტის ვალერი ფლოროვის განცხადებით, გუნდს და იგნატიევს ჯერჯერობით კონტრაქტი არ გაუფორმებიათ, თუმცაღა სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს. ბორის იგნატიევი, რომელმაც რუსეთის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა ვერ მოახერხა, „შინიკამდე" მოსკოვის „ტორპედო ზილს" ხელმძღვანელობდა. მაისში, როდესაც საქართველოს ნაკრებმა თბილისში, რუსეთის გუნდთან ფრედ 1:1 ითამაშა, სტუმართა ნაკრებს სწორედ ბორის იგნატიევი ხელმძღვანელობდა.

**ესპანელმა ტენორმა ხოსე კარერასმა გუშინ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ საყვარელი კლუბის „ბარსელონას" „ბაიერნთან" მარცხმა ძალიან დაამწუხრა. კარერასი კატალონიური კლუბის თავგადაკლული გულშემატკივარია, მიუნხენელებთან პაექრობასაც დასწრებია, საპატიო სტუმართა ლოჟაში „ბარსელონას" შარფშემოხვეულიც მჯდარა, მაგრამ საყვარელი ფეხბურთელების მარცხის გამო გაწბილებულა. „რომელი ფეხბურთის კრიტიკოსი მე ვარ, მაგრამ მოყვარულმა გულშემატკივარმაც კი შევამჩნიე, რომ გუნდმა ცუდად ითამაშა. „ბაიერნმა" „ბარსა" ნამდვილად დაჯაბნა. ახლა მეოთხედფინალში გასასვლელად სასწაული გვჭირდება. იმედია, ასეთი რამ მოხდება" — განაცხადა ტენორმა.**

**შვედურმა** კლუბმა აიკმა განაცხადა, რომ რამდენიმე ბრიტანულმა კლუბმა ნაკრების ნახევარმცველ იოჰან მიოლბუს დაადგა თვალი. ბრიტანელთა ინტერესი სტოკჰოლმური კლუბის ფეხბურთელის მიმართ განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც შვედეთის ნაკრებმა ინგლისის გუნდი დაამარცხა. აიკის წარმომადგენელთა თქმით, მიოლბუს გადაბირებას ყველაზე მეტად გლაზგოს „სელტიკი" ცდილობს, თუმცა არც პრემიერლიგის კლუბები „ტოტენჰემი", „ასტონ ვილა" და „ლივერპული" იხევენ უკან. იმავე აიკ-მა დაადასტურა, რომ გლაზგოელებმა მათ უკვე თანხაზეც ჩამოუგდეს სიტყვა. სავარაუდოდ, მიოლბუ სწორედ „სელტიკში" გადაბარგდება.

**უელსელი თავდამსხმელის მარკ ჰიუზის გადაბირების თაობაზე „საუთჰემპტონს" „დერბი ქაუნთიმ" მიმართა, თუმცა საუთჰემპტონელებმა მთხოვნელი სასტიკი უარით გაისტუმრეს. 35 წლის ჰიუზი, რომელსაც ნაკრების შემადგენლობაში თბილისშიც უთამაშია, „ჩელსიდან" „საუთჰემპტონში" ამ ზაფხულს გადავიდა 650 ათას გირვანქად და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. კლუბის მწვრთნელმა დეივ ჯონსმაც ამიტომ არ ინება ფორვარდის გაშვება.**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| ვერდერი — დორტმუნდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| დუისბურგი — ნიურნბერგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 7 ნოემბერი | | | |
| ბოხუმი — ჰერტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — მიონხენგლადბახი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰამბურგი — შალკე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბაიერნი — მიუნხენი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ფრაიბურგი — კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ჰანზა — აინტრახტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ლევერკუზენი — შტუტგარტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| კიკერსი — უნტერჰახინგი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ვატენშაიდი — კარლსრუე | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ურდინგენი — ჰანოვერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ფიურტი — არმინია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| გიუტერსლოო — კოტბუსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ობერჰაუზენი — ზანქტ პაული | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფორტუნა — მაინცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დიუსელდორფი — ულმი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 9 ნოემბერი | | | |
| ბერლინი — კიოლნი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ასტონ ვილა — ტოტენჰემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბლექბერნი — ქოვენთრი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჩარლტონი — ლესტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ლივერპული — დერბი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ნოტინგემი — უიმბლდონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| საუთჰემპტონი — მიდლსბრო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 8 ნოემბერი | | | |
| არსენალი — ევერტონი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მანჩესტერი — ნიუკასლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვესტ ჰემი — ჩელსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ლიდსი — შეფილდ უენსდეი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ბარნსლი — ბერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბრისტოლი — ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ქრიუ — სვინდონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — პორტსმუთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ჰადერსფილდი — იფსვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნორვიჩი — ბრედფორდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ქუინზ პარკი — ბოლტონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| შეფილდ იუნაიტედი — ტრანმერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სანდერლენდი — გრიმსბი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| უოტფორდი — ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვესტ ბრომვიჩი — ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 8 ნოემბერი | | | |
| სტოკპორტი — პორტ ვეილი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| მარსელი — მონაკო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბასტია — ლორიანი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 7 ნოემბერი | | | |
| ბორდო — ტულუზი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სტრასბური — ნანსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ოსერი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მონპელიე — პარი სენ ჟერმენი | 3,6 | 2,8 | 2,0 |
| მეცი — ლიონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლე ავრი — ლანსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რენი — სოშო | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 ნოემბერი | | | |
| ბარი — პარმა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბოლონია — რომა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| კალიარი — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ფიორენტინა — ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ლაციო — ემპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მილანი — ინტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პერუჯა — ვიჩენცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სამპდორია — სალერნიტანა | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| უდინეზე — იუვენტუსი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ლეჩე — ვერონა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ატალანტა — ლუკეზე | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| კიევო — ჯენოა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| კრემონეზე — ჩეზენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| მონცა — ტორინო | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| ნაპოლი — ფ. ანდრია | 1,4 | 3,1 | 9,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| პესკარა — ტერნანა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| რავენა — კოზენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| რეჯინა — რეჯანა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ტრევიზო — ბრეშა | 2,0 | 2,7 | 3,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პრიმერა დივიზიონი. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ესპანიოლი — ბეტისი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ატლეტიკო — დეპორტივო | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მალიორკა — ვილიარეალი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| ტენერიფე — ვალიადოლიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ოვიედო — ბარსელონა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| სოსიედადი — ბილბაო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| სალამანკა — სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვალენსია — რასინგი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| სელტა — ესტრემადურა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ალავესი — რეალი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ლეიდა — მალიორკა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ნუმანსია — ლას პალმასი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| კომპოსტელა — სპორტინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| რეკრეატივო — ალბასეტე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ბადახოსი — ოსასუნა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ლეგანესი — ერკულესი ($14^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მერიდა — ბარსელონა B | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ორენსე — ტოლედო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სევილია — ეიბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ლოგრონიესი — ატლეტიკო B | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მალაგა — რაიო ვალეკანო ($14^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| ბოავიშტა — შავეში | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 7 ნოემბერი | | | |
| ბეირა მარი — კამპომაიორენსე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ფარენსე — რიუ ავე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლეირია — სეტუბალი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მარიტიმუ — ამადორა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გიმარაეში — სპორტინგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ალვერკა — აკადემიკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 9 ნოემბერი | | | |
| ბრაგა — პორტუ | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 10 ნოემბერი | | | |
| სალგეირუში — ბენფიკა | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| ვალვაიკი — უტრეხტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 7 ნოემბერი | | | |
| გრააფსხაპი — ტილბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| როდა — კამბური | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| სპარტა — მაასტრიხტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვიტესი — ნაიმეგენი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბრედა — ფეიენოორდი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| ალკმაარი — აიაქსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტვენტე — ეინდჰოვენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰერენვენი — სიტარდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ოსტენდე — ანდერლეხტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| სტანდარდი — ლომელი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| გენტი — სენტ ტრუიდენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| შარლერუა — ვესტერლოო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბევერენი — მუსკრონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლიერსი — ჰარელბეკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 8 ნოემბერი | | | |
| გენკი — ეკერენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| კორტრაიკი — ბრიუგე | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| აალსტი — ლოკერენი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| ანთალია — ფენერბაჰჩე | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 7 ნოემბერი | | | |
| ტრაბზონი — ქარაბუქი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ალთაი — ისთანბული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გაზიანთეფი — ერზურუმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| საქარია — სამსუნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ანკარაგიუჯიუ — გენჩლერბირლიგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბურსა — ქოჯაელი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| დარდანელი — გალათასარაი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ბეშიქთაში — ადანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| აბერდინი — დანფერმლაინი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სელტიკი — დანდი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| დანდი იუნაიტედი — მოზერველი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ჰართსი — კილმარნოკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 8 ნოემბერი | | | |
| სენტ ჯონსტონი — რეინჯერსი | 4,4 | 2,8 | 1,8 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| რაპიდი — ტიროლი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| 7 ნოემბერი | | | |
| გრაცერი — შტურმი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ზალცბურგი — აუსტრია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ლინცერი — შტაირი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ლუსტენაუ — რიდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| ქსამაქსი — ბაზელი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| ლუგანო — ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სენტ გალენი — სერვეტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| იანგ ბოისი — სიონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ლოზანა — არაუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| გრასჰოპერი — ციურიხი | 2,0 | 3,0 | 3,3 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| ვაშინგტონი — კაროლინა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ტამპა ბეი — ჩიკაგო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კალგარი — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ედმონტონი — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფინიქსი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ანაჰაიმი — სან ხოსე | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 7 ნოემბერი | | | |
| ტორონტო — რეინჯერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| მონრეალი — აილენდერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ოტავა — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფილადელფია — ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| პიტსბურგი — ბოსტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ვანკუვერი — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სან ხოსე — სენტ ლუისი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ლოს ანჯელესი — დალასი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 8 ნოემბერი | | | |
| კაროლინა — ბოსტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ტამპა ბეი — ნიუ ჯერსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ჩიკაგო — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კალგარი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ანაჰაიმი — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 9 ნოემბერი | | | |
| ტორონტო — აილენდერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| მონრეალი — ფილადელფია | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ვანკუვერი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (მე-10) | 25 და ნაკლები . . . 1,9; | 27 და მეტი . . 1,9 |
| ინგლისი (მე-11) | 25 და ნაკლები . . . 1,9; | 27 და მეტი . . 1,9 |
| საფრანგეთი (მე-12) | 21 და ნაკლები . . . 1,9; | 23 და მეტი . . 1,9 |
| იტალია (მე-7) | 23 და ნაკლები . . . 1,9; | 25 და მეტი . . 1,9 |
| ესპანეთი (მე-8) | 25 და ნაკლები . . . 1,9; | 27 და მეტი . . 1,9 |
| პორტუგალია (მე-9) | 22 და ნაკლები . . 1,9; | 24 და მეტი . . 1,9 |
| ჰოლანდია (მე-11) | 26 და ნაკლები . . . 1,9; | 28 და მეტი . . 1,9 |
| ბელგია (მე-12) | 26 და ნაკლები . . . 1,9; | 28 და მეტი . . 1,9 |
| თურქეთი (მე-10) | 24 და ნაკლები . . . 1,9; | 26 და მეტი . . 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**631. გურამ შონია.** სენაკი. მოსამსახურე. 60 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. გაიოზ ჯეჯელავა
გუნდი ვლადიმერ სტეფანია, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, ჯემალ ზეინკლიშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, მიხეილ ბერძენიშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**632. გელა ბრძოლიშვილი.** თბილისი. ინჟინერ-ელექტრიკოსი. 68 წლის. მეწრთნელი 1. მიხეილ იაკუშინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. მურთაზ ხურცილავა, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. ვლადიმერ ბარქაია, 5. რამაზ შენგელია
გუნდი სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, ვლადიმერ ბარქაია, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**633. იური მელაძე.** წყალტუბო. ბულალტერი. 35 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თემურ ქეცბაია, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**634. ბიჭიკო მაჩაბლიშვილი.** თბილისი. მწვრთნელი. 42 წლის. მეწრთნელი 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გივი ნოდია
ფეხბურთელი 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი ვლადიმერ მარლანია, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**635. ვახტანგ ქახაბრიშვილი.** თბილისი. კინომენეჯერი. 25 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, თენგიზ სულაქველიძე, მიხეილ მესხი, ყავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**636. შ. ქაიშიანი.** თბილისი. იურისტი. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი სერგო კოტრიკაძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**637. გიორგი ლეჟავა.** თბილისი. ინჟინერი. 58 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. გივი ჩოხელი
გუნდი სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გურამ ცხოვრებოვი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**638. გაბრიელ ბეგლარაშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 66 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნესტორ ჩხატარაშვილი
ფეხბურთელი 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**639. დათო ხარჩილავა.** თბილისი. მოსწავლე. 9 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. შოთა იამანიძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**640. ვახტანგ ტუყვაძე.** თბილისი. წყალბურთელი. 16 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი ოთარ გაბელია, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, ბორის პიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**641. ანდრო ბარამიძე.** თბილისი. აგრონომი. 41 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**642. ილია ქაქელიძე.** ლანჩხუთი. ეკონომისტი. 22 წლის. მეწრთნელი 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. ვიტალი დარასელია, 4. რამაზ შენგელია, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია

**643. თენგიზ სანიკიძე.** ფოთი. ინჟინერი. 45 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. რევაზ ოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**644. გულო ჩემინავა.** ფოთი. ფეხბურთელი. 53 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**645. ზური ხოფერია.** ფოთი. ინჟინერი. 43 წლის. მეწრთნელი 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. რამაზ შენგელია, 3. სლავა მეტრეველი, 4. შოთა იამანიძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ლევან კობიაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**646. ნუკრი ბერიშვილი.** ზუგდიდი. ინჟინერ-მექანიკოსი. 34 წლის. მეწრთნელი 1. გავრილ კაჩალინი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გივი ნოდია
ფეხბურთელი 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. გიორგი სიჭინავა
გუნდი სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**647. გიორგი შვანგირაძე.** თბილისი. მოსწავლე. 13 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**648. მიხეილ შვანგირაძე.** თბილისი. ინჟინერი. 49 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**649. გიგლა შვანგირაძე.** თბილისი. პენსიონერი. 75 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**650. გიორგი ენუქიძე.** თბილისი. მოსწავლე. 9 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. რამაზ შენგელია, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი ოთარ გაბელია, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, შოთა არველაძე

**651. ემირ ბარჩილაძე.** თბილისი. აგრონომი. 63 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი ვლადიმერ მარლანია, ვლადიმერ ელოშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ვათანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი

**652. რომან ბუთხუზი.** თბილისი. აგრონომი. 54 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. გივი ჩოხელი
გუნდი სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, მანუჩარ მაჩაიძე, მიხეილ მესხი

**653. თამაზ გურგენიძე.** თბილისი. ტექნოლოგი. 54 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. შოთა იამანიძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი სერგო კოტრიკაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი

**654. ანზორ რუსაძე.** თბილისი. ტექნოლოგი. 66 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი 1. რამაზ შენგელია, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია

**655. კაკო ხუნდაძე.** თბილისი. გეოლოგი. 25 წლის. მეწრთნელი 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი 1. რამაზ შენგელია, 2. დავით ყიფიანი, 3. ვიტალი დრასელია, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, თამაზ კოსტავა, შოთა ხინჩაგაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ვახტანგ კოპალეიშვილი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**656. თამაზ მენთეშაშვილი.** თბილისი. ინჟინერ-კონსტრუქტორი. 50 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი 1. რამაზ შენგელია, 2. დავით ყიფიანი, 3. მანუჩარ მაჩაიძე, 4. ვიტალი დარასელია
გუნდი ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, შოთა ხინჩაგაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია

**657. დათო ხუნდაძე.** თბილისი. ინჟინერი. 38 წლის. მეწრთნელი 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვიტალი დარასელია, 5. დავით ყიფიანი
გუნდი ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, თამაზ კოსტავა, ვიტალი დარასელია, ვახტანგ კოპალეიშვილი, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

**658. ბრუნო ვეფხვაძე.** თბილისი. მოსწავლე. 12 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ვიტალი დარასელია, 4. რამაზ შენგელია, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი დავით გვარამაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე

**659. ჯოვანი ვეფხვაძე.** თბილისი. მხატვარი. 49 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოლობეირძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გურამ ცხოვრებოვი, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**660. შანგი რუხაძე.** მოსწავლე. 15 წლის. მეწრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. დავით ყიფიანი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. შოთა არველაძე
გუნდი ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, კახი ცხადაძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, კახი ასათიანი, ილია დათუნაშვილი, გიორგი ქინქლაძე, სლავა მეტერველი, დავით ყიფიანი, შოთა არველაძე

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო
# ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები
# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ____________
2 ____________
3 ____________
4 ____________
5 ____________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ____________
2 ____________
3 ____________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ____________
2 ____________
3 ____________
4 ____________
5 ____________
6 ____________
7 ____________
8 ____________
9 ____________
10 ____________
11 ____________

სახელი - - - - - - - - - - - -
გვარი - - - - - - - - - - - -
ასაკი - - - - - - - - - - - -
პროფესია - - - - - - - - - - - -
მისამართი - - - - - - - - - - - -

# გორჯღალოსნებმა აგჯარი აისხეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილის მეშვეობით სან სებასტიანიდან საფრანგეთის მიმავალ **გურამ მოდებაძეს** ავტობუსში შევეხმიანეთ და ფრანგულ ტურნეზე კომენტარიც ვთხოვეთ.

— ტურნირზე აუგის თქმის არანაირი მიზეზი არ გვაქვს, ნამდვილად ნაყოფიერი იყო და დასახული მიზანიც შევასრულეთ. ჩვენთვის შედეგებს მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი გუნდის ტაქტიკურ-ტექნიკური სრულყოფა გახლდათ. ვთვლი, რომ საკმაოდ ძლიერ გუნდებთან ჭიდილმა ბევრი სასიკეთო შეგვმატა.

**— რუმინელებმა ჩვენი ნაკრების ორი თამაში ვიდეოფირზე აღბეჭდეს. თქვენ თუ გაქვთ მათი ან ირლანდიელთა თამაშის ვიდეოჩანაწერები?**

— რუმინელებისა კი გვაქვს, მაგრამ შარშანდელია, ლისაბონში პორტუგალიელებს რომ ხვდებოდნენ. წლევანდელი თამაშების ფირები, სამწუხაროდ, არ გვაქვს, ამიტომ ამ ძველით ვცდილობთ ფონს გასვლას. თუმცა, ესეცაა, რუმინეთის ნაკრების რამდენიმე მოთამაშე ჩვენი ბიჭების თანაკლუბელია ფრანგულ კლუბებში. ოთხი კაცი, მაგალითად, ზაზა ლეჟავასთან ერთად თამაშობს, კაპიტანი ბრინზა ლევან ცაბაძის თანაგუნდელია, სხვა ჩვენი ლეგიონერების კლუბებშიც არიან. ამანაც გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა მათზე.

**— ჩვენს ნაკრებში რამდენიმე გამოცდილი თუ ცნობილი მორაგბე ვერ მოხვდა...**

— მათ შორისაა დიმა ობოლაძე, მაგრამ იგი მაინც ჩვენთანაა, ოღონდ არა როგორც მოთამაშე. მიგვყავს იმიტომ, რომ იგი დიმა ობოლაძეა. ამ ცოტა ხნის წინ მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა, გუშინ თამაშა კიდეც, მაგრამ მუხლმა ისევ ძალიან შეაწუხა. ტრავმის გამო გამოგვაკლდა სოსო პარწიკანაშვილიც. მის მაგივრად ახალგაზრდა ილო ზედგენიძე ავიყვანეთ. ვერც ნუგზარ ძაგნიძე მიგვყავს ირლანდიაში. იგი კოჭის ტკივილმა შეაწუხა, არადა, ტექნიკური თვალსაზრისით ნამდვილად კარგ ფორმაშია. ეგაა, ფიზიკურად ჯერ კიდევ ვერაა ძველებურად. ამიტომ ამ ეტაპზე მისი ირლანდიაში წაყვანა ვერ შევძელით.

**ირაკლი თავაძე**

# თავის ტკივილი გაისად ნახე...

გაისად გასამართ მორაგბეთა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრი შესარჩევი ტურნირები ოკეანეთელებმაც გაასრულეს, ამერიკელებმაც და აფრიკელებმაც. ამ ზონებში თავნასახელებ და უკვე ჩემპიონატგანაღდებულ ავსტრალიას, ფიჯის, სამოას, არგენტინას, კანადას, აშშ-ს, ნამიბიას ამ დღეებში აზიელთაგან საუკეთესო იაპონიაც შეემატა. ეჭვი არავის ეპარებოდა და ასეც მოხდა: იაპონელები თავის აუტკიებლად გაუსწორდნენ კორეელებს, ჰონკონგელებს, ტაივანელებს, 19 ლელო რომ იქით გაიტანეს, თავად მხოლოდ 3 მიიღეს და ჯგუფში პირველ ადგილზე დიდი უპირატესობით გამოიჭიმნენ. იაპონიისგან ნაძლევი სამეული ისეთი გამოდგა, ფერი ფერსაო, რომ იტყვიან: სამივემ 2-2 ქულა დააგროვა და მეორე ადგილი ანუ სანუგეშო ტურნირში მონაწილეობის უფლება კორეას გატანა-გაშვებაში უკეთესმა სხვაობამ არგუნა.

იაპონელმა ჯგუფში კი გაილაღეს, თუმცა, ეჭვი არაა, უკვე ის აზრი უბურღავთ ტვინს, გაისად რა დღე დაადგებათ. გამოცდილება თითქოს არ აკლიათ, აქამდე გამართულ მსოფლიოს თასის სამივე ფინალურ ეტაპში მონაწილეობდნენ, მაგრამ ვერაიანადაც გაიწეწნენ: 9 შეხვედრიდან 1 მოიგეს, 8 წააგეს, თანაც წაგებაც არის და წაგებაც — 1995 წელს ახალზელანდიელებისგან სამარცხვინოდ სარეკორდო მარცხი იწვნიეს 17:145. ამჯერად აზიის ყოჩებს მსოფლიოს თასის მასპინძელ უელსელებთან, სამოელებთან და არგენტინელებთან მოუწევთ D ჯგუფში საქმის დაჭერა.

**არჩილ ტუმბურიძე**

აზიის ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 3 | 0 | 0 | 6 | 221:25 |
| კორეა | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 104:81 |
| ჰონკონგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 39:88 |
| ტაივანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 57:227 |



მანასლუ



ქართველები საბაზო ბანაკში

# მანასლუს კაცი მოუკლავს

*მანასლუს (8156 მ), დედამიწის ამ უმაღლესი მწვერვალის ფერდობებიდან ჩვენი მთამსვლელების მიერ ძუნწად მოწვდენილი ხმა მართალია მთავარ ინფორმაციას კი გვაძლევდა მეორე ქართულ ჰიმალაურ ექსპედიციაზე, რომლის გენერალური სპონსორი „ომეგა“ იყო, მაგრამ, ცხადია, ორი თვის განმავლობაში რამდენიმეწამიანი სატელეფონო კავშირები მათ გულშემატკივართ უამრავ კითხვას აღუძრავდა. ჰიმალაიდან გადმოგდებული ერთი-ორი სიტყვის მიხედვით ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ მანასლუზე ამავალ მთამსვლელებს ცუდი ამინდები დაუდგათ. მათ ბოლო საიერიშო ბანაკი 7200 მეტრის სიმაღლეზე დადგეს. ამასობაში თბილისელ დავით ჩანტლაძესა და ქუთაისელ მერაბ ნემსიწვერიძეს ანგინა შეეყარათ და ბოლოს იძულებულნი გახდნენ, შინისკენ გამოეწიათ, იქ დარჩენილმა ჩვენმა მთამსვლელებმა კი კიდევ ერთხელ სცადეს მანასლუზე ასვლა, მაგრამ საიერიშო ბანაკები თოვლში ჩამარხული დახვდათ, აღარც მანასლუ აპირებდა დაშოშმინებას და მათაც საბოლოოდ იბრუნეს პირი.*

ქართველ მთამსვლელთა ექსპედიცია ახლა შინისკენ მომავალ გზაშია და ამ დღეებში ჩამოვა. ამასობაში რამდენიმე დღით ადრე დაბრუნებულმა ჩანტლაძემ და ნემსიწვერიძემ უკვე ჩამოაღწიეს.

რა თქმა უნდა, აღარც ჩვენ დავაყოვნეთ და დავით ჩანტლაძეს ექსპედიციის ამბები გამოვკითხეთ.

— მე საშინელი ანგინა შემეყარა — გვიამბობს ჩანტლაძე — ერთ-ერთი მებარგულისგან გადამედო. სიცხემ ამიწია და გამტანჯა. ნემსიწვერიძეც ავად გახდა. ამიტომ დანარჩენებთან ერთად მწვერვალზე ასასვლელად საბოლოოდ ველარ ვცადეთ ძალა და შინ დავბრუნდით. თუმცა, ჩვენთვის ისედაც ნათელი იყო, რომ ბოლო ცდაც წარუმატებელი იქნებოდა არა მხოლოდ თანაგუნდელებისთვის, არამედ სხვა ქვეყნების ექსპედიციების წევრთათვის. ამაში მხოლოდ მანასლუზე ასვლას კი არ ვგულისხმობ, არამედ საერთოდ იმ რაიონის დანარჩენ რვაათასიანებზე — დჰაულაგირზე და ანაპურნაზე ლაშქრობებსაც. რამდენადაც ვიცი, ასეც მოხდა. ყოველ შემთხვევაში, მანასლუზე ვერც ერთი ქვეყნის ექსპედიციის წარმომადგენელი ვერ ავიდა. მე და მერაბის დაბრუნების მერე, როგორც შევიტყვეთ, მანასლუზე ერთი კოლუმბიელი დაიღუპა. შესაძლოა, დჰაულაგირზე და ანაპურნაზე მოიერიშეთაგანაც ვინმე დაიღუპა. აი, დღე დღეზე ჩამოვლენ ჩვენი ექსპედიციის დანარჩენი წევრებიც და ბოლო დღეების ამბებსაც ისინი გვიამბობენ.

**— გვჯერა, რომ ხელსაყრელი ამინდების შემთხვევაში თქვენც და სხვა ქვეყნების ექსპედიციებიც მეტნაკლებ წარმატებას მიაღწევდით, მაგრამ თქვენი ასვლა იქნებ უშედეგოდ არ დასრულებულიყო, მწვერვალის მისადგომებთან აღწევა რომ არ დაგვიანებოდათ. მაინც, რა მოხდა კატმანდუში? იქ რატომ შეფერხდით?**



დავით ჩანტლაძე

— კატმანდუში კი შევფერხდით, მაგრამ არც ისე დიდხანს, რომ ამას ჩვენს ასვლაზე რაიმე გავლენა მოეხდინა. ამინდები იმთავითვე ცუდი იყო. სწორედ უამინდობამ შეგვაყოვნა ნეპალის დედაქალაქში. კატმანდუდან მაღალმთიან სამაში, რომელიც მანასლუსკენ მიმავალ გზაზე ბოლო სოფელია, 31 აგვისტოს შვეულმფრენებით უნდა გადავფრენილიყავით, მაგრამ ცა არა და არ გაიხსნა. 4 სექტემბერს, როგორც იქნა, გავფრინდით, მაგრამ მანასლუს რაიონში ღრუბლები აიჯაგრა, შედედებულ რძესავით სქელი ნისლი ჩამოწვა და პირი ვიბრუნეთ. მეორე დღეს ისევ გავფრინდით და როგორც იქნა, სამაში ავაღწიეთ, იქ 40-მდე მზიდავი დავიქირავეთ და მათთან ერთად ჩვენი ბარგი ზურგით ორ დღეში ავზიდეთ 4700 მეტრამდე, სადაც საბაზო ბანკი მოვაწყვეთ.

**— იქ, ალბათ, სხვა ქვეყნების ექსპედიციები დაგხვდებოდნენ.**

— არა, პირველნი ჩვენ ავედით. რამდენიმე დღის მერე თანდათან გამოჩნდნენ იაპონიის, სამხრეთ კორეის, ავსტრიის, კოლუმბიისა და ბულგარეთის ექსპედიციებიც. ამ უკანასკნელს ბულგარეთის ექსპედიცია კი ერქვა, მაგრამ მასში თავად ბულგარელთა გარდა გაერთიანებულნი იყვნენ მექსიკის, ფრანგებისა და რუსების მთამსვლელები. თუმცა, ყველაზე დიდი ექსპედიცია იაპონელებისა იყო. მათ ასვლაში დაქირავებული შვიდი შერპი მთამსვლელიც ეხმარებოდა.

**— ალბათ, ყველა ექსპედიციის წევრები გაერთიანებული ძალით კვალავდით და ამზადებდით მარშრუტს.**

— არა, ასე არ იყო. მანამ სხვა ექსპედიციები გამოჩნდებოდნენ, ჩვენ საბაზოსა და პირველ საიერიშოდ ბანაკს შორის, 6400 მეტრის სიმაღლეზე საშუალედო მოვამზადეთ. ეს იმისთვის გახდა საჭირო, რომ იქვე პირველ წინაღობად დიდ ბერგშრუნდი (მწვერვალის თოვლ-ყინულოვან ფერდობზე ჰორიზონტალური ნაპრალი ა.გ.) დაგვხვდა. მისი დასაძლევი გზა, რა თქმა უნდა, ჩვენ მოვამზადეთ და მერე ამით, ცხადია, სხვებიც სარგებლობდნენ. ასე მოხდა მეორე ბანაკამდეც, სადაც 6700 მეტრის სიმაღლეზე კარვები დავდგით, თუმცა, იქ ასვლამდე გამოდარებას ექვსი დღე ვუცადეთ. მაგრამ, გამოდარებას პირობითად ვამბობ, თორემ საბაზო ბანაკი რომ მოვაწყვეთ, მერე ორი კვირა მეტნაკლებად პრაქტიკულად გადაუღებლად თოვდა. მესამე ბანაკი მეორეს დადგმიდან 3-4 დღის მერე 7200 მეტრზე დავდგით, მაგრამ ერთი კვირით უამინდობამ ისევ საბაზოში გამოგვკეტა ყველანი.

ასე იყო თუ ისე, მანასლუზე მთელი მარშრუტი ჩვენ გავამზადეთ, სხვა ქვეყნების ექსპედიციები ჩვენი გაკვალული გზით სარგებლობდნენ, თავად კი ერთი მეტრიც არ დაუმუშავებიათ. ნაწილობრივ ეს იმითაც აიხსნება, რომ ჩვენ ყველაზე ადრე მივადექით მწვერვალს და აკლიმატიზაციაც სხვებზე ადრე გავიარეთ. ამიტომ ყველანი ჩვენ შემოგვყურებდნენ.

**— მაგრამ, როგორც თქვენგან ერთ-ერთი სატელეფონო კავშირის მერე გავიგეთ, რომელიღაც ექსპედიციის შერპთა დახმარება დაგჭირვებიათ.**

— დიახ, ისინი 7200 მეტრის სიმაღლეზე დაგვეხმარნენ. ის შვიდი შერპი იყო, იაპონელებს რომ ჰყავდათ. მათი ჩვენდამი დახმარებით იაპონელებიც იყვნენ დაინტერესებულნი და ყველა დანარჩენი ექსპედიციებიც.

**— მაინც, რა გაგიჭირდათ ასეთი, რომ შერპთა დახმარება დაგჭირდათ?**

— კაცმა რომ თქვას, ისეთი არაფერი გაგვჭირვებია „უბრალოდ“, მარშრუტის მომზადება ყველას საერთო ინტერესებს წარმოადგენდა. საშინელი დიდთოვლობა იყო და სიარული ძალზე ჭირდა. ამიტომ შერპები თოკებს ეზიდებოდნენ, ჩვენ კი მათ ვკიდებდით და მარშრუტს ვამუშავებდით.

**— მესამე ბანაკის ზემოთ სულ ვეღარ ახვედით?**

— მესამე ბანაკი ბოლო საიერიშო ბანაკი იყო. იქიდან უნდა დაწყებულიყო გადამწყვეტი იერიში და დავიწყეთ კიდეც, მაგრამ დიდთოვლობისა და ქარიშხლის გამო 400 მეტრის გავლას მთელი დღე შევალიეთ, ამიტომ სულის მოსათქმელად და გამოდარების მოლოდინში საბაზო ბანაკში დავბრუნდით.

ამასობაში ჩემი და მერაბ ნემსიწვერიძის წამოსვლის „დროც“ მოვიდა და 20 სექტემბერს ორივემ გუდა-ნაბადი ავიკარით. ექსპედიციის ბოლო დღეების ქრონიკას კი დანარჩენები ყველას ერთად გვიამბობენ, როცა ჩამოვლენ.



„აკრობატიკა“ მანასლუს ფერდობზე



მანასლუზე ცა გახსნილა, მაგრამ დროებით

**ავთანდილ გურასაშვილი**

**დავით ჩანტლაძის ფოტოები**

## კორაჩის თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 3-5 ნოემბერი

### A ჯგუფი

ინტერი (სლოვაკეთი) — რადნიჩკი (იუგოსლავია) 83:85

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 3 | 2 | 1 | 208:164 | 5 |
| რადნიჩკი | 3 | 2 | 1 | 229:210 | 5 |
| ინტერი | 4 | 1 | 3 | 235:298 | 5 |

მომდევნო მატჩი. 18.11: გალათასარაი — რადნიჩკი

### B ჯგუფი

სპარტაკი (სანქტ პეტერბურგი, რუსეთი) — დოლფინსი (შვედეთი) 99:95; კომფორტი (პოლონეთი) — ალიტა (ლიტვა) 87:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ალიტა | 4 | 3 | 1 | 324:306 | 7 |
| დოლფინსი | 4 | 2 | 2 | 380:356 | 6 |
| სპარტაკი | 4 | 2 | 2 | 346:358 | 6 |
| კომფორტი | 4 | 1 | 3 | 302:332 | 5 |

V ტური. 11.11: დოლფინსი — ალიტა, სპარტაკი — კომფორტი

### C ჯგუფი

ძუკეტი (იტალია) — ტატამი (გერმანია) 92:84; ოსტენდე (ბელგია) — უნიკახა (ესპანეთი) 89:70

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოსტენდე | 4 | 3 | 1 | 338:311 | 7 |
| ტატამი | 4 | 2 | 2 | 322:309 | 6 |
| ძუკეტი | 4 | 2 | 2 | 301:304 | 6 |
| უნიკახა | 4 | 1 | 3 | 268:305 | 5 |

V ტური. 10.11: ოსტენდე — ძუკეტი. 11.11: უნიკახა — ტატამი

### D ჯგუფი

ჟელეზნიკი (იუგოსლავია) — კერავნოსი (კვიპროსი) 59:57; ფრიბურგი (შვეიცარია) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 65:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანიონიოსი | 4 | 3 | 1 | 298:278 | 7 |
| კერავნოსი | 4 | 2 | 2 | 267:270 | 6 |
| ჟელეზნიკი | 4 | 2 | 2 | 267:289 | 6 |
| ფრიბურგი | 4 | 1 | 3 | 275:270 | 5 |

V ტური. 11.11: პანიონიოსი — კერავნოსი, ფრიბურგი — ჟელეზნიკი

### E ჯგუფი

ბიტომი (პოლონეთი) — პეპსი (იტალია) 80:72; ფალკო (უნგრეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 94:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 4 | 3 | 1 | 310:307 | 7 |
| ბიტომი | 4 | 2 | 2 | 303:284 | 6 |
| პეპსი | 4 | 2 | 2 | 294:285 | 6 |
| ფალკო | 4 | 1 | 3 | 299:330 | 5 |

V ტური. 11.11: ბიტომი — ფალკო, პეპსი — ბეშიქთაში

### F ჯგუფი

დიჟონი (საფრანგეთი) — მონსი (ბელგია) 89:67; ნოვა ჰუტი (ჩეხეთი) — ფორუმი (ესპანეთი) 70:78

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დიჟონი | 4 | 3 | 1 | 327:303 | 7 |
| ფორუმი | 4 | 3 | 1 | 297:280 | 7 |
| მონსი | 4 | 2 | 2 | 305:298 | 6 |
| ნოვა ჰუტი | 4 | 0 | 4 | 282:330 | 4 |

V ტური. 10.11: მონსი — ნოვა ჰუტი, ფორუმი — დიჟონი

### G ჯგუფი

მაკაბი (ირონი, ისრაელი) — ციტლიუკი (ბოსნია) 70:62; აპოლონი (საბერძნეთი) — სპარტა (ჩეხეთი) 72:64

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 4 | 3 | 1 | 318:285 | 7 |
| აპოლონი | 4 | 3 | 1 | 319:293 | 7 |
| ციტლიუკი | 4 | 2 | 2 | 288:283 | 6 |
| სპარტა | 4 | 0 | 4 | 259:323 | 4 |

V ტური. 11.11: აპოლონი — მაკაბი, სპარტა — ციტლიუკი

### H ჯგუფი

მაკაბი (რიშონ ლე ციონი, ისრაელი) — ბენფიკა (პორტუგალია) 74:77; ბამბერგი (გერმანია) — ლე მანი (საფრანგეთი) 79:68

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 4 | 3 | 1 | 329:301 | 7 |
| ბამბერგი | 4 | 3 | 1 | 293:281 | 7 |
| ლე მანი | 4 | 1 | 3 | 306:326 | 5 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 3 | 301:321 | 5 |

V ტური. 11.11: მაკაბი — ბამბერგი, ლე მანი — ბენფიკა

### I ჯგუფი

ადეკო (ესპანეთი) — ბეზანსონი (საფრანგეთი) 82:75; ატომიქსი (ბელგია) — პორტუ (პორტუგალია) 63:79

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ადეკო | 4 | 4 | 0 | 329:292 | 8 |
| პორტუ | 4 | 3 | 1 | 327:289 | 7 |
| ბეზანსონი | 4 | 1 | 3 | 278:273 | 5 |
| ატომიქსი | 4 | 0 | 4 | 275:355 | 4 |

V ტური. 11.11: ადეკო — ატომიქსი, ბეზანსონი — პორტუ

### J ჯგუფი

დუკატო (იტალია) — ტუბორგი (თურქეთი) 91:56; ბორაცი (ბოსნია) — ბენსტონი (ხორვატია) 77:60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დუკატო | 4 | 3 | 1 | 308:237 | 7 |
| ბორაცი | 4 | 2 | 2 | 263:255 | 6 |
| ბენსტონი | 4 | 2 | 2 | 247:287 | 6 |
| ტუბორგი | 4 | 1 | 3 | 263:302 | 5 |

V ტური. 11.11: დუკატო — ბორაცი, ტუბორგი — ბენსტონი

### K ჯგუფი

ტელეკომი (გერმანია) — სლობოდა (ბოსნია) 83:67; ზრინიევაცი (ხორვატია) — პაპაგოსი (საბერძნეთი) 71:79

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტელეკომი | 4 | 3 | 1 | 310:276 | 7 |
| პაპაგოსი | 4 | 3 | 1 | 314:285 | 7 |
| სლობოდა | 4 | 2 | 2 | 244:282 | 6 |
| ზრინიევაცი | 4 | 0 | 4 | 279:304 | 4 |

V ტური. 11.11: ტელეკომი — ზრინიევაცი, სლობოდა — პაპაგოსი

### L ჯგუფი

შიაულიაი (ლიტვა) — პოგონი (პოლონეთი) 72:79; შახტიორი (უკრაინა) — ლოკომოტივი (რუსეთი) 100:92

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პოგონი | 4 | 3 | 1 | 324:312 | 7 |
| შიაულიაი | 4 | 2 | 2 | 362:338 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 2 | 365:375 | 6 |
| შახტიორი | 4 | 1 | 3 | 346:372 | 5 |

V ტური. 11.11: ლოკომოტივი — პოგონი, შახტიორი — შიაულიაი

### M ჯგუფი

კრკა (სლოვენია) — აეროპორტი (იტალია) 85:70; ლოვჩენი (იუგოსლავია) — ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) 84:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეროპორტი | 4 | 3 | 1 | 308:282 | 7 |
| კრკა | 4 | 3 | 1 | 317:305 | 7 |
| ლოვჩენი | 4 | 1 | 3 | 286:299 | 5 |
| ჰაპოელი | 4 | 1 | 3 | 309:334 | 5 |

V ტური. 11.11: ჰაპოელი — აეროპორტი, ლოვჩენი — კრკა

### N ჯგუფი

პსჟ (საფრანგეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 95:96; ოკაპი (ბელგია) — ბაიერი (გერმანია) 97:95

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 356:298 | 8 |
| პსჟ | 4 | 2 | 2 | 307:295 | 6 |
| ოკაპი | 4 | 2 | 2 | 340:346 | 6 |
| ბაიერი | 4 | 0 | 4 | 294:362 | 4 |

V ტური. 11.11: ოკაპი — პსჟ, ბაიერი — ბარსელონა

### O ჯგუფი

არსენალი (რუსეთი) — აზოვბასკეტი (უკრაინა) 85:54; ნეპტუნასი (ლიტვა) — ჰონკა (ფინეთი) 82:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 4 | 0 | 332:229 | 8 |
| ნეპტუნასი | 4 | 2 | 2 | 338:324 | 6 |
| ჰონკა | 4 | 2 | 2 | 281:304 | 6 |
| აზოვბასკეტი | 4 | 0 | 4 | 269:363 | 4 |

V ტური. 11.11: ნეპტუნასი — არსენალი, ჰონკა — აზოვბასკეტი

### P ჯგუფი

ირაკლიონი (საბერძნეთი) — ბეობანკა (იუგოსლავია) 64:65; დარუშაფაკა (თურქეთი) — სვიტი (სლოვაკეთი) 108:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დარუშაფაკა | 4 | 3 | 1 | 344:276 | 7 |
| ირაკლიონი | 4 | 3 | 1 | 325:315 | 7 |
| ბეობანკა | 4 | 2 | 2 | 331:315 | 6 |
| სვიტი | 4 | 0 | 4 | 279:373 | 4 |

V ტური. 11.11: დარუშაფაკა — ირაკლიონი, სვიტი — ბეობანკა

## შტერნი აგენტებს ერჩის

მოქიშპე მხარეები ოთხშაბათს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და მხოლოდ ორი საათი მოანდომეს შექმნილი მძიმე სიტუაციის განხილვას. თუმცა ეს უკანასნელიც, ისევე როგორც წინა მრავალი, უშედეგოდ დასრულდა. მეორე დღეს ლიგის ხელმძღვანელმა დევიდ შტერნმა შექმნილ ვითარებაში მოთამაშეთა აგენტები დაადანაშაულა, ყველაფერს ეს გაქნილი ხალხი ურევსო. შტერნის თქმით, აგენტების მიერ შეგულიანებული სუპერვარსკვლავები იმდენად უზარმაზარ თანხებს ითხოვდნენ, რომ კლუბების მეორეხარისხოვან მოთამაშეთათვის ბევრი არაფერი რჩებოდა, ამჟამად კი აგენტები მოთამაშეებს ხელმძღვანელებთან წინააღმდეგობისკენ უბიძგებენ. ეს ბუნებრივია, რადგან რაც უფრო მეტია კალათბურთელის ხელფასი, აგენტსაც ხომ მეტი ერგება. ნებისმიერ შემთხვევაში აგენტი კლიენტის ხელფასიდან 10 პროცენტს იჯიბავს.

შტერნის განცხადებას, რა თქმა უნდა, ბევრი არ შეხვდა აღფრთოვანებით. ათობით სუპერვასკვლავის აგენტმა დევიდ ფალკმა შტერნის განცხადებას მეტი თუ არა, უტაქტო უწოდა. მისი აზრით, NBA-ს კომისარი ცდილობს, აგენტებსა და მათ კლიენტებს შორის განხეთქილება ჩამოაგდოს.

NBA-ს კი ახალი საზრუნავი გაუჩნდა. ლიგის ხელმძღვანელობა ცდილობს, დაადგინოს მოთამაშის კონტრაქტის ჭერი, რომლის მიხედვითაც იგი ვერ შეძლებს, მიიღოს კლუბის ხელფასის საერთოთ თანხის 35 პროცენტზე მეტით და, აქედან გამომდინარე, ცალკეული კალათბურთელის ხელშეკრულება სხვებს ხელს არ შეუშლის.

**ირაკლი ფირაშვილი**



# მადლი ჰქენი...



REUTERS პარიზიდან

პატრიკ რაფტერი

**პარიზის ღია პირველობა. საფრანგეთი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 2,55 მილიონი $**

სეზონის ბოლოს გაჩაღებულმა დამქანცველმა მარათონმა მსოფლიოს პირველი ჩოგნობისთვის ბრძოლაში ამ კვირაში შტუტგარტიდან პარიზის „ბერსის“ სპორტულ კომპლექსში გადაინაცვლა, სადაც ორშაბათს სეზონის უკანასკნელი მერსედეს სუპერ-9-ის სერიის ტურნირი დაიწყო.

ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატამდე დარჩენილ ბოლო დიდ პირველობას კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი ცვილებების მოხდენა შეუძლია, ამიტომ მორჩენილ-მოურჩენელი, მცირე თუ დიდი ტრავმების მქონეები პარიზში უკლებლივ გამოცხადდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ბევრს სული კბილით უჭირავს, ფარ-ხმალის დაყრას არავინ აპირებს.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთ გამონაკლისს ადგილი მაინც ჰქონდა — მუხლმტკივანმა ჰოლანდიელმა რიჩარდ კრაიჩეკმა, შტუტგარტის ტურნირი ლამის ცალი ფეხით რომ მოიგო, აქ მატჩი ბოლომდე ვერ, უფრო სწორად, არ ჩაათავა. უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონი შვეიცარიელ მარკ როსეს გადამწყვეტ ხელში 5:2-ს უგებდა, როდესაც კორტზე ექიმს უხმო. მანამდე 17 ეისის მომწოდებელ კრაიჩეკს მოგებას ერთი ნაბიჯი უკლდა და ფონს გასვლა მარტო მოწოდების ხარჯზეც მშვენივრად შეეძლო, მაგრამ მერვედფინალში გასვლას და იქ უბრძოლველად დანებებას კეთილი საქმის გაკეთება არჩია — გაგრძელებაზე უარი თქვა და როსეს გზა გადაულოცა.

„ჩემი სეზონი დასრულდა. რამდენიმე დღეში როტერდამში მუხლის ოპერაციას გავიკეთებ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ჰოლანდიელმა, რომელიც ჰანოვერში იმ შემთხვევაშიც კი არ იასპარეზებს, თუ მერვე საგზურისთვის საკმარისი ქულები ექნება. მწყობრში იგი იანვრის მეორე ნახევრისთვის, ავსტრალიის ღია პირველობისთვის თუ ჩადგება.

კრაიჩეკის ტრავმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის არაერთ მსურველს გაახარებდა, განსაკუთრებით კი მეცხრე და მეათე პოზიციაზე მყოფ ტიმ ჰენმანსა და ევგენი კაფელნიკოვს, რომლებიც მერვედფინალში პირადად გაარკვევენ ურთიერთობას.

ჰენმანმა (9) მეორე წრეში (პირველიდან ყველა განთესილი გათავისუფლებული იყო) იოლად სძლია 1997 წლის მსოფლიოს საუკეთესო იუნიორს, მასპინძელ არნო დი პასკალს 6:3, 6:3, აი, რუსს კი შვედ მაგნუს ნორმანთან საკმაოდ გაუჭირდა და მსაჯის ერთი საეჭვო გადაწყვეტილება რომ არა, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა.

ანგარიში მესამე სეტში საყაიმო, 3:3 იყო და კაფელნიკოვს ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, როდესაც შვედმა ეისი მოაწოდა. თითქოს უჩვეულო არაფერი მომხდა, მაგრამ რუსმა ბურთი მსაჯს მისცა და დაიჩივლა, ახალიაო (ჩოგბურთში ბურთების შეცვლა მხოლოდ გარკვეული რაოდენობის, უმეტესად შვიდი გეიმის შემდეგ შეიძლება). წესების თანახმად, მსაჯმა „დამნაშავე“ ბურთი ჩაიჯიბა და ქულის გადათამაშება მოითხოვა, რამაც ნორმანი ფრიად გაალიზიანა — ამან ფიცხელი კამათის შემდეგ ორმაგი შეცდომა დაუშვა, მოწოდება დაკარგა და საბოლოოდ დამარცხდა კიდეც 6:3, 3:6, 4:6.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან ამ ინციდენტამდე კარგად ვთამაშობდი. ნერვები არ უნდა მომეშალა, რადგან ჩოგბურთში ხდება მსგავსი რამეები და, ალბათ, ევგენი სწორედაც მოიქცა“ — დაიჩივლა მოგვიანებით ნორმანმა.

რაც შეეხება კაფელნიკოვს, მან ძირითადად ჰენმანთან მომავალ შეხვედრაზე ისაუბრა: „დასაკარგი არაფერი მაქვს, ჩემპიონატზე მოხვედრის შანსები ხომ ძალიან მცირე მაქვს, ტიმს კი საკმაოდ რეალური (რუსს 2049 ქულა აქვს, ინგლისელს — 2427), ამიტომ ზეწოლასაც იგი განიცდის. წლეულს ისე ვთამაშობდი, სულაც არ ვიმსახურებ ჰანოვერში ასპარეზობას, ასე რომ, სულაც არ დამწყდება გული, თუ წავაგებ.“

პეტერ კორდას (10) კი მორიგმა მარცხმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის თეორიული შანსებიც მოუსპო. ჩეხმა ერთ-ერთი უძლიერესი მოწოდების პატრონი მარკ ფილიპუსისი ეისების რაოდენობით კი დაჩაგრა — 13:8, მაგრამ 6:2, 4:6, 4:6 მაინც წააგო, მეექვსედ ბოლო შვიდ მატჩში.

ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიუხედავად, ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი უახლოეს ხანებში დიდი სპორტიდან წასვლას მაინც არ აპირებს: „ვიცი, რომ მაღალ დონეზე ასპარეზობა კიდევ ძალმიძს. გადაწყვეტილება, გაისად თამაში გავაგრძელო, გასულ თვეში, ოსტრავის ტურნირზე მივიღე, რადგან ჩოგბურთი ახლაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. უბრალოდ, სეზონის პირველმა ნახევარმა იმდენი ენერგია წამართვა, ამჟამად გამოწურული ლიმონივით ვგრძნობ თავს.“

მერვედფინალში დანაკარგების გარეშე გააღწია პირველობისთვის მებრძოლმა სამეულმაც. ყველაზე მეტად ამათგან პიტ სამპრასს გაუჭირდა — საუკეთესოთა ოცეულში პირველად ამ კვირაში დაწინაურებულმა ტომას იოჰანსონმა მატჩი მეტოქეზე გაცილებით უკეთ დაიწყო და 2 სეტ-პოინტი 5:3-ზეც ჰქონდა, მაგრამ შვედს წინ წასული მელას მაგვარი რამ მოუვიდა — პიტმა უსაფუძვლოდ განერვიულებული მეტოქის შეცდომებით შესანიშნავად ისარგებლა, თავისივე მიზეზით ზედმეტად გაჭიანურებულ ტაი-ბრეიკსაც ბოლოს და ბოლოს ეისით მოუღო ბოლო და მეორე ხელში შვედი გაანადგურა 7:6 (9:7), 6:1.

„თავიდან თავს არც ისე კომფორტულად ვგრძნობდი და ეს თამაშსაც ეტყობოდა, კორტზე მისაჩვევად კი კარგა ხანი დამჭირდა. უკვე მეხუთე კვირაა, ევროპაში ვარ, რასაც მიჩვეული არა ვარ და ფსიქოლოგიურად ძალიან დავიღალე — განაცხადა მატჩის შემდეგ სამპრასმა, რომელიც სეზონის ბოლოს ზედიზედ მეექვსედ პირველობით ჯიმი კონორსის რეკორდის მოხსნას ცდილობს — ამდენ ხანს დარბაზში თამაში ჩემს მზეზე გარუჯულ კანს აშკარად ცუდ სამსახურს გაუწევს, მაგრამ იძულებული ვარ, კლასიფიკაციის გამო ყველაფერს გავუძლო, ის კი არა, შეიძლება იმ კვირაში მოსკოვში ან სტოკჰოლმშიც ვიასპარეზო.“

სამპრასის მთავარ კონკურენტს — მარსელო რიოსს თავის შეხვედრაში ახლახან გადატანილი ორივე ფეხისა და ზურგის ტრავმების კვალი აშკარად ეტყობოდა, თუმცა ავსტრალიელ ტოდ ვუდბრიჯთან შეხვედრაში ოდნავადაც არ გასჭირვებია — უმცროსი „ვუდი“ რაღაც მიზეზით სასტიკად განერვიულებული ჩანდა, შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და 25-წუთიან სეტში ერთი გეიმის მოგებაც ვერ მოახერხა. ვუდბრიჯი მეორე ხელში ცოტათი გაძალიანდა, მაგრამ ეს იყო და ეს — 0:6, 4:6.

„ფეხი ხანდახან მახსენებს თავს, როცა მკვეთრ მოძრაობას ვაკეთებ, ან დიდხანს დავრბივარ-ხოლმე, მაგრამ გახურების შემდეგ ტკივილს აღარ ვგრძნობ, ამიტომ ცდა, მე მგონი, ღირს“ — გაუმხილა ჟურნალისტებს რიოსმა, რომელმაც ჩილეს ყოფილი დიქტატორის, პინოჩეტის ინგლისში დაპატიმრებაზე აზრის გამოთქმასა და თავისი ახლი მწვრთნელის ვინაობის გამხელაზე სასტიკი უარი განაცხადა, სამაგიეროდ, ATP ტურის თავკაცობის გაკრიტიკებისას უკან არ დაუხევია. „მათ მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების პოლიტიკა და, უპირველეს ყოვლისა, საფარი უნდა შეცვალონ, რომელიც თიხნარზე თამაშის ოსტატებს შანსს არ უტოვებს. სწრაფი ხალიჩა სამპრასის, ბეკერისთვისაა შექმნილი და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ აქ სულ ისინი იგებენ. კარგი იქნებოდა, თუ დროგამოშვებით ჩემპიონატები თიხნარზე, ჰარდზე, ღია ცისქვეშ გაიმართებოდა.“

მსგავსი პრობლემები აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებულ პატრიკ რაფტერს ოდნავადაც არ აწუხებს. მას ამჟამად ქრონიკულად მტკივანი მუხლის დარდი აქვს და სავსებით შესაძლებელია, მსოფლიოს ჩემპიონატზე სულაც არ იასპარეზოს. თუმცა მეორე წრეში ავსტრალიელს ამის არაფერი ეტყობოდა — წინა მატჩში ბორის ბეკერის დამმარცხებელი, მაგრამ ამავდროულად მხრის ტრავმით მოთამაშე ფრანგი ნიკოლა ესკუდე მან ყველა კომპონენტში დაჩაგრა 6:3, 6:1.

„აშშ-ის ჩემპიონატის შემდეგ პირველად ვათამაშე სრული ძალით, მაგრამ კლასიფიკაციაზე ამჟამად არც კი ვფიქრობ. თუ გავხდები პირველი, გავხდები, თუ არა და უამისოდაც არაფერი დაშავდება“ — რაფტერის მერვედფინალში ტოდ მარტინი ელის, რომელმაც ასპარეზობას მეთოთხმეტედ განთესილი გორან ივანიშევიჩი გამოთიშა 4:6, 6:1, 7:6 (7:4).



REUTERS პარიზიდან

მარკ როსე

**მეორე წრე:** ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 2:6, 6:2, 6:3; ანდრე აგასი (6, აშშ) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:4, 6:2; ტომი ჰაასი (გერმანია) — ალექს კარეტხა (6, ესპანეთი) 7:6 (7:2), 2:6, 6:3; კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2, 3:6, 6:0; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — იონას ბიორკმანი (12, შვედეთი) 6:3, 6:2; გრეგ რუზეცკი (13, ინგლისი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:3; ვინს სპედეა (აშშ) — იან სიმერინკი (15, ჰოლანდია) 7:6 (7:3), 3:6, 7:6 (7:4); ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — ალბერტ კოსტა (16, ესპანეთი) 3:6, 7:5, 7:5.

**ავთანდილ სვანიძე**

იაპონიაში მიმდინარე ფრენბურთელ ქალთა XIII მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ გაიმართა ჯგუფური ტურნირის ბოლო, მე-3 ტურის შეხვედრები და ყველა მეოთხედფინალისტიც გაირკვა

# იაპონელებს კუბელები არ უყვართ?

A ჯგუფში შემდეგი ეტაპის უკანასკნელი საგზური პერუსა და კენიას შორის გათამაშდა. სამხრეთამერიკელებმა ძალიან დაძაბულ ბრძოლაში მიაღწიეს გამარჯვებას. მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე დღემდე არც ერთ აფრიკულ გუნდს ერთი პარტიაც ვერ მოეგო, კენიამ კი კინაღამ მთელ მატჩში იმარჯვა, თუმცა საბოლოოდ მაინც კუბელი ლუის ოვიედოს პერუელმა შეგირდებმა მიაღწიეს საწადელს. პირველი ხელის დასაწყისში კენიელთა უდავო ლიდერმა მარია კოჩვამ კოჭის ტრავმა მიიღო და სათადარიგოებს შეუერთდა. ამით მეტოქემ ისარგებლა და 1:0 წინ გავიდა. მეორე პარტიაში კოჩვა სარბიელს დაუბრუნდა და მატჩიც მისი გუნდის უპირატესობით გაგრძელდა. მეოთხე ხელშიც აფრიკელები დაწინაურდნენ (ჯამში 2:1-ს იგებდნენ) 6:2, შემდეგ 13:12-იც იყო. აქ კი პერუელებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და ჯერ ის ხელი, შემდეგ კი მატჩიც მოიგეს. „დღეს ძალიან მძიმე თამაშში მოვახერხეთ გამარჯვების მიღწევა. კენიას მშვენიერი ნაკრები ჰყოლია, მაგრამ გამოცდილება აკლიათ. მეტად კმაყოფილი ვარ" — ლუის ოვიედო კარგ ხასიათზე იყო.

ჯგუფის პირველი ადგილის ბედი მასპინძლებისა და ჰოლანდიელების მატჩში წყდებოდა. იაპონელებმა შედარებით იოლად შეძლეს მეტოქის დამარცხება. „ჩვენი მარცხი იმის ბრალია, რომ საკმარისად ვერ ვივარჯიშეთ. ჩემპიონატისთვის მხოლოდ ექვსი კვირა ვემზადეთ. ეს კი კარგი გუნდის შესაქმნელად ძალიან ცოტაა. მგონი, 5-7 ადგილებით მოგვიწევს დაკმაყოფილება. თუმცა უკეთესის იმედიც არ დაგვიკარგავს" — ნარინჯისფერთა მწვრთნელი პიერ მატიე ოპტიმისტურად იყო განწყობილი. იაპონელთა თავკაცმა ნობუჩიკა კუზუვამ კი განაცხადა: „გამარჯვება მოთამაშეთა და ტექნიკური პერსონალის ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. მშვენიერ რიტმში ვთამაშობთ. ასე თუ გავაგრძელეთ, ოქროს მედლების მოპოვებასაც შევძლებთ."

B ჯგუფში კუბელებისა და იტალიელების მატჩს ქალაქ ტოკუიამაში მხოლოდ 700 მაყურებელი დაესწრო, ბულგარელებისა და ამერიკელებისას კი სამი ათასით მეტი. იაპონელებმა, ალბათ, იფიქრეს, კუბელები იოლად გაიმარჯვებენ და სანახავიც არაფერი იქნებაო და არც მოტყუვდნენ. მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე მყოფმა კუბამ სამ ხელში დაამარცხა მე-9 ადგილოსანი იტალია და დაამტკიცა, რომ ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია. სლავებმა კი ტურნირზე მე-7 ნომრად განთესილ აშშ-ს ნაკრებს 55 წუთში აჯობეს 3:0. ბულგარელთა კაპიტანი ემილია პაშოვა სიხარულს ვერ მალავდა: „ბედნიერი ვარ, მეოთხედფინალის საგზურის მოპოვება რომ შევძელით. ძალიან მომწონს იაპონია და ტურნირიც ჩინებულადაა ორგანიზებული. ახლა უფრო ძნელი მატჩები გველის." პაშოვას ამერიკელი კოლეგა სელიმა დევიდსონს კი სასიხარულო არაფერი ჰქონდა: „ვფიქრობ, ჩვენ შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვავლინეთ. ბულგარელები ძალიან გამოცდილი ფრენბურთელები არიან. ბედნიერი ვიქნებოდი, ამ საღამოს მათსავით რომ გვეთამაშა. ახლა შინ დავბრუნდებით და გაისად გასამართი მსოფლიო თასისთვის უკეთ მოვემზადებით."

C ჯგუფში რუსებმა არანაირი შანსი არ დაუტოვეს დომინიკელთა რესპუბლიკის ნაკრებს და 50 წუთში გაანადგურეს კუნძულელები 3:0 (15:3, 15:8, 15:1). რუსთა თამაშის შემხედვარე, სპეციალისტებმა ისინი მსოფლიოს ჩემპიონების, კუბელების, უპირველეს კონკურენტებად შერაცხეს. დომინიკელები კი მეოთხედფინალში გასვლითაც უზომოდ ბედნიერები იყვნენ და რუსებთან მარცხი განსაკუთრებულად არც განუცდიათ. გამარჯვებულთა თავდამსხმელმა ლუბოვა სოკოლოვამ მატჩის შემდეგ თქვა: „ჩემი ოჯახის გარეშე ფრენბურთის თამაშს ვერ შევძლებდი. მატჩის დროს მათი მხარდაჭერა და გამხნევება ძალიან მშველის. გასაგებად, როცა ჰიტაჩის კლუბში გადმოვალ სათამაშოდ, ოჯახსაც აუცილებლად წამოვიყვან იაპონიაში." ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანი ბრაზილიელები იოლად გაუმკლავდნენ გერმანელებს და მეოთხედფინალშიც გავიდნენ. ევროპელებმა კი შინისკენ გასწიეს.

D ჯგუფში ლიდერთა შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა და 2 საათსა და 16 წუთს გასტანა. ანგარიშით 3:2 კორეამ მოიგო, თუმცა ჩინელები დიდად არ დამწუხრებულან. ჯგუფში შემდეგი ეტაპის უკანასკნელი საგზური კი ხორვატებმა და ტაილანდელებმა გაითამაშეს. ევროპელებს თავიანთი ლიდერის ბარბარა იელიჩის წყალობით გამარჯვების მიღწევა და მეოთხედფინალურ ჯგუფში მოხვედრა არ გასჭირვებიათ. სხვათა შორის, სწორედ ხორვატთა რვა ნომერი იელიჩია ჯერჯერობით ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე. 13 პარტიაში მის ანგარიშზე 37 შედეგიანი შეტევა, 9 დაფარება და 3 ქულის მომტანი მოწოდებაა. „მიკვირს, ისე იოლად გავიმარჯვეთ. ძალიან მომწონს აქაურობა და მაყურებელიც კარგად ერკვევა ფრენბურთის ნიუანსებში" — განუცხადა ჟურნალისტებს მატჩის გმირმა.

**გაიოზ თალაკვაძე**

**A ჯგუფი**

პერუ — კენია 3:2 (15:9, 13:15, 6:15, 15:13, 15:10)

იაპონია — ჰოლანდია 3:0 (15:9, 15:12, 15:6)

**B ჯგუფი**

კუბა — იტალია 3:0 (15:7, 15:9, 15:11)

ბულგარეთი — აშშ 3:0 (15:3, 15:7, 15:13)

**C ჯგუფი**

რუსეთი — დომინიკელთა რესპ. 3:0 (15:3, 15:8, 15:1)

ბრაზილია — გერმანია 3:0 (15:1, 15:4, 15:3)

**D ჯგუფი**

ხორვატია — ტაილანდი 3:0 (15:9, 15:13, 15:10)

კორეა — ჩინეთი 3:2 (15:13, 17:15, 6:15, 10:15, 15:9)

**სატურნირო ვითარება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | |
| იაპონია | 3 | 3 | 0 | 6 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 5 |
| პერუ | 3 | 1 | 2 | 4 |
| კენია | 3 | 0 | 3 | 3 |
| **B ჯგუფი** | | | | |
| კუბა | 3 | 3 | 0 | 6 |
| იტალია | 3 | 2 | 1 | 5 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| აშშ | 3 | 0 | 3 | 3 |
| **C ჯგუფი** | | | | |
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 5 |
| დომინიკელთა რესპ. | 3 | 1 | 2 | 4 |
| გერმანია | 3 | 0 | 3 | 3 |
| **D ჯგუფი** | | | | |
| კორეა | 3 | 3 | 0 | 6 |
| ჩინეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| ხორვატია | 3 | 1 | 2 | 4 |
| ტაილანდი | 3 | 0 | 3 | 3 |

**მეოთხედფინალური ჯგუფები**

I

იაპონია
ჰოლანდია
პერუ
რუსეთი
ბრაზილია
დომინიკელთა რესპ.

II

კუბა
იტალია
ბულგარეთი
კორეა
ჩინეთი
ხორვატია

*დღეს ფრენბურთელი ქალები ისვენებენ. მეოთხედფინალურ ჯგუფებში პირველი ტურის მატჩები ხვალ გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან: დომინიკელთა რესპუბლიკა — პერუ, ბრაზილია — ჰოლანდია, იაპონია — რუსეთი, ჩინეთი — იტალია, კუბა — კორეა, ხორვატია — ბულგარეთი.*



# ასე ცოტა და ასე ბევრი

4 ნოემბერი

**სან ხოსე — დალასი 4:0**

2:0 1:0 1:0

1:0 მარლო 3'29 (3); 2:0 სატერი 4'09 (3); 3:0 ფრიზენი 30'04 (2); 4:0 რიჩი 45'51 (2)

ჰოკეიში გუნდს 9 დარტყმით მოეგოს, აქამდე არავის გაუგონია. ამიერიდან კი გვეცოდინება. ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან შეხვედრაში აუტსაიდერი სან ხოსე თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში საკუთარი ზონიდან არ გასულა, უიშვიათესი კონტრშეტევებით კი მაქსიმალურ შედეგს მიაღწია და როცა ფრიზენმა ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა, დალასელთა გოლკიპერმა ედ ბელფორმა შეცვლა მოითხოვა. მასპინძელთა მეკარე მაიკ ვერნონი კი საიმედოდ იდგა (კარიერაში მე-19 შატაუტი) და უქმეებზე დეტროიტის მძლეველი დალასი მოთმინებას თანდათან კარგავდა. „ვარსკვლავებმა" ვერა და ვერ მონახეს ვერნონის კარის გასაღები და ჯერჯერობით ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სენსაციის უიღბლო თანამონაწილენიც გახდნენ.

ბოლოს იმასაც დავძენთ, რომ 9 დარტყმა სან ხოსესთვის ახალი ანტირეკორდია.

**ედმონტონი — ნეშვილი 3:2**

1:0 1:0 1:2

1:0 ბერანეკი 0'26 (5); 2:0 კოვალენკო 23'58 (3); 3:0 ბუკბერგერი 47'18 (2); 3:1 ბრიუნეტი 52'34 (5); 3:2 პიუარდი 59'39 (1)

იოზეფ ბერანეკმა, რომელმაც ნჰლ-ის რამდენიმე კლუბი გამოიცვალა, შარშანდელი სეზონი კი სამშობლოში გაატარა, ჩანს, მიაგნო გუნდში თავის ადგილს. თანაგუნდელთა შორის იგი ამჯერადაც საუკეთესო იყო (1+1).

**ფლორიდა — ჩიკაგო 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 სისარელი 26'54 (1); 1:1 ამონტე 46'09 (7); 2:1 ლინდსეი 57'44 (2)

სახელოვანმა მარკ მესიემ ნჰლ-ის საუკეთესო სნაიპერთა სიაში მე-8 ადგილიდან დინო სისარელი განდევნა... ცხადია, ფლორიდის განთქმულ ვეტერანს მოვლენების ამგვარი განვითარება არაფრად ეჭაშნიკა და 38 წლის ჰოკეისტმა ტრავმის მოშუშების შემდეგ პირველსავე შეხვედრაში გაიტანა. ახლა მასაც, ისე როგორც მესიეს, 603 გოლი აქვს. იმედია, ამ სეზონში კიდევ ერთი პრინციპული დუელის მოწმენი გავხდებით.

ამ გუნდების 30 ოქტომბრის პირველი მატჩის დარად, მოწინააღმდეგეებმა ანგარიშსწორებას ამჯერადაც დიდი დრო დაუთმეს, ჩიკაგოელი კრის ჩელიოსი კი ოთხ (!) ამგვარ შეხლა-შემოხლაში მონაწილეობდა.

**ანაჰაიმი — სენტ ლუისი 1:3**

0:1 0:0 1:2

0:1 ტვისტი 14'44 (2); 0:2 დემეტრა 41'50 (4); 1:2 სანდსტრიომი 52'06 (3); 1:3 ტარჯონი 59'11 (3)

სენტლუისელმა პიერ ტარჯონმა 2 (1+1) ქულა დააგროვა, ხოლო გოლი ცარიელ კარში გაიტანა. ტეემუ სელიანემ და პოლ კარიამ გუნდი ვერ გადაარჩინეს.

**ტორონტო — კოლორადო 3:0**

0:0 3:0 0:0

1:0 სალივანი 22'29 (2); 2:0 ტომასი 33'16 (3); 3:0 სუნდინი 36'46 (5)

მას შემდეგ, რაც სტივ ტომასმა მეტოქეთა უხეში შეცდომა გამოიყენა, კოლორადოელებმა თამაშში გარდატეხის შეტანას ანგარიშსწორება ამჯობინეს და 34-ე წუთზევე დიდი ჩხუბი ატეხეს, რომელშიც ყველაზე მეტად ნეშვილიდან ახლახან გადასული კოლორადოელი გრეგ დევრიზი აქტიურობდა.

**რეინჯერსი — მონრეალი 1:4**

1:2 0:0 0:2

0:1 კორსონი 3'41 (1); 1:1 მაკლინი 7'36 (3); 1:2 რეკი 9'33 (3); 1:3 რუჩინსკი 52'32 (1); 1:4 დამფუსი 59'25 (5)

მაიკ რიხტერი, ცხადია, კარგი მეკარეა, მაგრამ პარტნიორ ფორვარდთა უსუსურობა მასაც მობეზრდა და ამჯერად თავისიანები ვეღარ იხსნა. თავდასხმაში „რეინჯერთა" პრობლემებმა (12 მატჩში მათ მხოლოდ 8 გოლი მიითვალეს) ახალი ჭორები აავორა, რომლებიც ძირითადად ტრავმირებულ ალექსეი კოვალიოვს უკავშირდება. მონრეალმა შეწყვიტა უხეირო სერია (+0=1-3), თანაც ამჯერად რეკის (1+1) გარდა სეზონის დასაწყისში გაფიცულმა მარტინ რუჩინსკიმ და შეინ კორსონმაც ისახელეს თავი.

**ვაშინგტონი — ტამპა 2:5**

0:1 2:2 0:2

0:1 კლარკი 18'55 (7); 1:1 ბელოუზი 21'07 (1); 1:2 ნაზაროვი 22'27 (1); 1:3 კელი 33'21 (1); 2:3 ჟიუნო 38'45 (4); 2:4 კლარკი 43'53 (8); 2:5 ლანგკოუ 59'53 (2)

ლიგის ექვს დივიზიონად დაყოფის შემდეგ არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ თასის ფინალისტ ვაშინგტონს სამხრეთ-აღმოსავლეთში კონკურენციას ვერავინ გაუწევდა, მაგრამ ჯერჯერობით პროგნოზი არ მართლდება, რასაც შარშანდელ აუტსაიდერ ტამპასთან მარცხიც ადასტურებს.



REUTERS ვაშინგტონიდან

ვაშინგტონის მეკარე ოლაფ კოლციგი წელს ვეღარ ყოჩაღობს

**სატურნირო ვითარება**

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 11 | 6 | 1 | 4 | 33:31 | 13 |
| ოტავა | 9 | 6 | 0 | 3 | 30:22 | 12 |
| ბუფალო | 10 | 5 | 2 | 3 | 28:21 | 12 |
| მონრეალი | 11 | 4 | 2 | 5 | 25:30 | 10 |
| ბოსტონი | 12 | 4 | 2 | 6 | 27:23 | 10 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 11 | 6 | 0 | 5 | 33:25 | 12 |
| სენტ ლუისი | 10 | 5 | 2 | 3 | 26:22 | 12 |
| ჩიკაგო | 11 | 4 | 1 | 6 | 24:34 | 9 |
| ნეშვილი | 10 | 3 | 1 | 6 | 25:31 | 7 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 12 | 5 | 3 | 4 | 31:26 | 13 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 6 | 0 | 4 | 20:20 | 12 |
| აილენდერსი | 11 | 6 | 0 | 5 | 26:24 | 12 |
| პიტსბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 28:30 | 11 |
| რეინჯერსი | 12 | 3 | 3 | 6 | 18:30 | 9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ტამპა | 12 | 5 | 1 | 6 | 31:36 | 11 |
| კაროლინა | 11 | 4 | 3 | 4 | 23:19 | 11 |
| ფლორიდა | 11 | 4 | 3 | 4 | 24:31 | 11 |
| ვაშინგტონი | 11 | 3 | 3 | 5 | 18:27 | 9 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 10 | 6 | 2 | 2 | 25:20 | 14 |
| ფინიქსი | 8 | 5 | 1 | 2 | 24:14 | 11 |
| ლოს ანჯელესი | 11 | 4 | 2 | 5 | 21:24 | 10 |
| ანაჰაიმი | 10 | 3 | 3 | 4 | 22:22 | 9 |
| სან ხოსე | 10 | 2 | 2 | 6 | 24:27 | 6 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ედმონტონი | 11 | 7 | 0 | 4 | 41:27 | 14 |
| ვანკუვერი | 11 | 5 | 1 | 5 | 32:27 | 11 |
| კალგარი | 11 | 4 | 2 | 5 | 30:33 | 10 |
| კოლორადო | 11 | 3 | 1 | 7 | 26:39 | 7 |

***ბომბარდირები:*** იაგრი (პიტსბურგი) 17 (4+13); ლინდროსი 16 (9+7); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 14 (7+7); აიზერმანი (დეტროიტი) 14 (3+11); გერინი (ედმონტონი) 13 (9+4); ფლერი (კალგარი) 13 (8+5); შენაჰანი (დეტროიტი) 13 (7+6); კარია (ანაჰაიმი) და მესიე (ვანკუვერი) 13 (6+7); ბრინდამორი (ფილადელფია) და სუნდინი (ტორონტო) 13 (5+8)

# ჩემი ძმა შზრალოა

ფილადელფიის ლიდერ ერიკ ლინდროსის უმცროსმა ძმამ, ბრეტმა, სასტიკად გააკრიტიკა სუპერვარსკვლავი სახლიკაცის ოპონენტები, რომლებმაც ოტავაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ მას აუგი შეჰკადრეს. უმცროსი ლინდროსის თქმით, იმის გამო, რომ ლიგაში ტვინის შერყევები გახშირდა, ჰოკეიში ძალისმიერ თამაშს ვერ აკრძალავენ: „თამაში უფრო სწრაფი, ძალისმიერი გახდა, გაახალგაზრდავდა. არა მგონია, რომ ტეო ფლერისთანა ჰოკეისტებიც კი თავიანთი ტანმორჩილობის გამო წუხდნენ" — დასძინა ბრეტმა.

ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ უმცროსი ლინდროსი სწორედ ტვინის შერყევის გამო გახდა იძულებული, კარიერა მალევე დაესრულებინა.



სარბიელის არქივიდან

ბრეტ ლინდროსი



სარბიელის არქივიდან

მარკ მესიე

# მესიეს ტკბილ-მწარე ზეიმი

ვანკუვერის სახელოვან ფორვარდ მარკ მესიესთვის ბოლო მატჩები დღესასწაულებად იქცა. ჯერ იყო და, 23 ოქტომბერს მე-600 შაიბა გაიტანა, მერე ნჰლ-ის სნაიპერთა სიაში მე-9 ადგილზე მყოფ იარი კურის დაეწია, ვაშინგტონის კარში გატანილი მომდევნო გოლით კი კიდევ ერთი საფეხურით ამაღლდა და თავის ძველ მეგობარ დინო სისარელის შეუამხანაგდა. ორშაბათის მატჩმა ფორვარდს კიდევ ერთი სიხარული მოუტანა — ამ სეზონში მეექვსე გოლმა იგი სნაიპერთა სიაში მე-8 ადგილზე ალაზევა. ამჟამად 603 გოლით მესიე საცაა ლეგენდარულ ბობი ჰალს (610) და მარიო ლემიეს (613) დაეწევა.

მაგრამ სამწუხაროა, რომ მესიეს ზეიმისთვის ნამდვილად არ სცალია. მიუხედავად მისი თავგამოდებისა, ვანკუვერი ბოლო მატჩებში ხშირად აგებს (+1=1-3), თანაც კლუბის წამყვანი სამეულის მარცხენა გარემარბის პოზიციაზე მოთამაშე ფორვარდები ტრავმებმა გააწამეს. ჩემპიონატის სტარტზევე მიიღო ბრედ მეიმ საზარდულის ტრავმა, უკანასკნელ შეხვედრაში კი მესიესთან და მოგილნისთან საკმაოდ კარგად შეთამაშებული ტოდ ბერტუციც დაშავდა — თანაკლუბელ მატიას ოლუნდის დარტყმულმა შაიბამ მარცხენა ფეხი დაუზიანა.

მესიეს გარდა ამ ბოლო ხანს თავი გამოიჩინეს აგრეთვე მონრეალელმა მარკ რეკიმ (800 ქულა დააგროვა) და დალასელმა ჯო ნუინდაიკმა (მე-400 შაიბა მიითვალა).

**სამველ ლარიბიანი**



ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო... მსოფლიოს ორგზის საუკეთესო და უძვირფასესი ფეხბურთელი რონალდო რა ისეთი „მღვდელია“, რამე დაეწუნებოდეს, მაგრამ თამაში თამაშია, ზოგჯერ ვერ ივარგებს ხოლმე და კრიტიკაც არ აცხანებს. აი, მის საცოლე სუზანა ვერნერს კი, რონალდინიად მონათლულს, წუნს ვერავინ სდებს. ისე, ფეხბურთისადმი გულგრილი არც თავად სუზანაა. ერთი ხანობა „ფლუმინენსეს“ ქალთა გუნდში ძალიან კარგადაც ბურთაობდა, მაგრამ, არა გვგონია, საერთო მოცალეობის ჟამს ეს ახალგაზრდა წყვილი თანამედროვე ფეხბურთის ტექნიკურ-ტაქტიკურ პრობლემებზე მსჯელობით იღლიდეს ტვინს.





*ოსკაროსანმა მსახიობებმა ჯეკ ნიკოლსონმა და კლინტ ისტვუდმა 2 ნოემბერს სცენარები გვერდზე გადადეს და გოლფის ყვანჯებით ხელში ლოს ანჯელესის „რივიერა ქანთრი კლაბს“ ეწვივნენ. საქმე ის არის, რომ ამ მილიონერთა ნავსაყუდელში ამერიკის კინო ინსტიტუტის პირველი გოლფის ჩემპიონატი გაიმართა, რომლისგან მიღებული თანხები ინსტიტუტის დაფინანსებას მოხმარდა.*



მაყურებლები ბუფალოელ მეტიუ ბარნაბის მომავლის ჰოკეისტად მიიჩნევენ. მათი აზრით, იგი მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს მალისმიერი ფორვარდის, ლიდერისა და „პოლიციელის“ ფუნქციებს. ახალგაზრდა თავდამსხმელმა თავისი პოტენციალი პლეი ოფშიც გამოავლინა, სადაც გოლების გატანასაც ახერხებდა, მალისმიერ ილეთებსაც იშველიებდა და პარტნიორებსაც აგულიანებდა. არც საჩხუბრად იხევდა უკან და ამის ნიშნად ყინულზე ხელთათმანებს ხშირად აგდებდა. თუმცა უნივერსალურ ბარნაბის ჯერჯერობით უჭირს ვიწრო სპეციალიზაციის „პოლიციელებთან“ ანგარიშსწორება, რასაც ეს სურათიც ადასტურებს. ტორონტოელმა კრის კინგმა ბუფალოელ შფოთისთავს თავზე მაისური წამოაცვა, ეს კი „მეომრისთვის“ ყველაზე სამარცხვინოდ ითვლება.

# ჯამელ მართალი!

ფრანგი ძიუდოისტის, ოლიმპიური ჩემპიონის ჯამელ ბურას მიერ ამ დღეებში მიღწეულმა წარმატებამ აქამდე მის მიერ მოპოვებული ყველა ტიტული დაჩრდილა. არადა, ეს გამარჯვება ტატამზე კი არა, მის მიღმაა მოპოვებული.

ლოზანაში მოსაქმიანე საერთაშორისო სპორტულ-საარბიტრაჟო სასამართლომ დაადგინა, რომ დოპინგის საქმეში ბურა უბრალოა და დისკვალიფიკაცია მოუხსნა. თუ გახსოვთ, ზუსტად ერთი წლის წინ, პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბურეა დოპინგ-კონტროლზე ჩავარდა და სამწლიანი დისკვალიფიკაციაც დაიმსახურა. წარმოშობით ალჟირელმა მუსლიმმა უდანაშაულობის დამტკიცება გადაწყვიტა და ამისთვის ბრძოლა დაიწყო. საქმე თითქოს წაგებული იყო, მაგრამ ორიოდ თვის წინ ბურამ საფრანგეთში სამოქალაქო სასამართლო მოიგო და ქვეყნის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება დაიბრუნა.

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას ჯამელმა ბოლოს 10 ოქტომბერს სთხოვა, შემიწყალეთო, მაგრამ ვერაფერს გამორჩა, 14 ოქტომბერს კი მიმართა ლოზანის სასამართლოს, რომელმაც ორშაბათს დაადგინა: ბურამ იქნებ მართლაც მიიღო დოპინგი, მაგრამ ეს შეუგნებლად გააკეთა, ანუ არ იცოდა, ეს პრეპარატი აკრძალული რომ იყო. ამიტომაც დისკვალიფიკაცია მოეხსნაო. მართლა მიიღო თუ არა დოპინგი ბურამ, ამას სასამართლო დეკემბერში გამოაცხადებს.

ჯამელმა, იცოცხლეთ, ძალიან გაიხარა, ბედნიერი კაცი ვარ, რადგან უდანაშაულობა დავამტკიცე. დეკემბერში იმასაც დავამტკიცებ, რომ დოპინგი საერთოდ არ მიმიღიაო. მან მადლიერებით მოიხსენია თანამდგომნი, განსაკუთრებით საფრანგეთის ძიუდოს ფედერაციის ეროვნულ ნაკრებთა კოორდინატორი ფაბიენ კანიუ და ოლიმპიური ჩემპიონი დავიდ დუიე. ბურამ ისიც თქვა, ბევრმა, ვისი იმედიც მქონდა, უნამუსოდ მიგანაო.

ლოზანის სასამართლომ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციასაც დაუქნია თითი: კაცი ტყუილუბრალოდ დაგისჯიათ, ღირსები კი ხართ, ბლომად საკომპენსაციო ფული გადაგახდევინოთ, მაგრამ თუ თქვენც სასწრაფოდ მოუხსნით დისკვალიფიკაციას, მაშინ თავს დაგანებებთო.

თავად ბურა უმალ შეუდგა საქმეს. ხვალ თავის კლუბ „პარი სენ ჟერმენს“ შეეშველება ევროპის საკლუბო თასზე, ორშაბათს კი იაპონიაში გაფრინდება და იქ შეკრებაზე მყოფ საფრანგეთის ნაკრებს შეუერთდება.



ატლანტის ოლიმპიადის ფინალში ჯამელ ბურამ იაპონელი ტოშიჰიკო კოგას დამარცხებით ტატამზე ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29